პროლეტარელებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 281 (20022) კვირა, 6 დეკემბერი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

დიდი მადლობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდ მადლობას უთვლიან საბჭოთა და საზღვარგარეთელ მოქალაქეებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, პარტიებსა და მოძრაობებს, მთავრობებს, რომლებმაც გამოგზავნეს თავიანთი მოლოცვები და მისალმებანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის გამო.

დიდი ოქტომბრის იუბილეს დღესასწაული უთვალსაჩინესი პოლიტიკური მოვლენა გახდა. მან დამაჯერებლად ცხადყო საბჭოთა ხალხის მიერ გამოვლილი ისტორიული გზის სიორეული და სიდიადე, ჩვენი მიღწევების მასშტაბურობა და მსოფლიო მნიშვნელობა, გაგვიუვანა ახალ მიჯნებზე განვლილის გააზრებაში, წარსულის გაკვეთილების გაცნობიერებაში.

მისალმებანი, რომლებიც გამოგვიგზავნეს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, ვეტერანების, ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა, მოწმობენ, რომ მათ ღრმად გაუცნობიერებიათ გარდაქმნა, როგორც ვ. ი. ლენინის იდეების, დიდი ოქტომბრის იდეების ნაბდვილი განსახიერება, მკაფიოდ ცხადყოფენ საბჭოთა ადამიანების დიდ პოლიტიკურ აღმავლობასა და შემართებას, მისწრაფებას — თავიანთი წვლილი შეიტანონ პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებების, ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნა-განახლების პარტიისეული კურსის განხორციელებას. ამ ამაღლებულებელ დოკუმენტებში ახალი ძალით გამოვლინდა საბჭოთა პატრიოტიზმი, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობა.

საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მოხული მრავალი მოლოცვა და მისალმება გამოხატავს უფართოეს რეზონანსს, რომელიც მთელ მსოფლიოში გამოიწვია დიდი ოქტომბრის 70 წლისთავმა. ეს რეზონანსი მიგვანიშნა იმ პატივისცემისა და მადლიერების გამოხატულებად, რომლითაც ეკიდებიან ჩვენს რევოლუციას როგორც კაცობრიობის ხვე-ბედის მსოფლიო ისტორიულ შემობრუნებას, ოქტომბრის ხიშობლოს, მის აქტიურ წამყვან როლს მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

ჩვენ მადლობელი ვართ სოციალისტური ქვეყნების პარტიების და მთავრობების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, ათასობით მოქალაქის მოლოცვებისათვის, რომლებშიც სრულ მხარდაჭერას უცხადებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მომზე პარტიების კურსს სოციალისტურ სახელმწიფოთა ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარების, უფრო ფართო და ეფექტიანი თანამშრომლებისათვის ახალი საზოგადოების წარმატებული მშენებლობისა და მშვიდობის დამკვიდრების ინტერესების სახეკეთოდ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავ აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი კვლავაც იქნება სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის გაღრმავება.

ჩვენ მადლიერი ვართ კომუნისტური და მუშათა, რევოლუციურ-დემოკრატიული, სოციალისტური, სოციალ-დემოკრატიული და ლეიბორისტული პარტიების, მასობრივი დემოკრატიული ორგანიზაციების და მოძრაობების ხელმძღვანელებისა, რომლებმაც მოიოლოცეს საბჭოთა ხალხს, ჩვენს პარტიას. ეს მოლოცვები გამოხატავენ მსოფლიო საზოგადოებრივობის მზარდ ინტერესს სსრ კავშირში მიმდინარე გარდაქმნის იდეებისა და განხორციელების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კურსისადმი, რომლის მიზანია აღიკვეთოს ბირთვული კატასტროფის საფრთხე, შეიქმნას საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემა. ჩვენ ვადასტურებთ, რომ ვესწრაფვით თანამშრომლობას პარტიებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშათა, დემოკრატიული, გამათავისუფლებელი, ომის საწინააღმდეგო მოძრაობების ნებისა და ინტერესებს გამოხატავენ.

საბჭოთა კავშირის, ჩვენი ბალხისათვის უცხოეთის სახელმწიფოთა მეთაურებისა და მთავრობების მიერ გამოგზავნილი მოლოცვები გამოხატავენ ომის საფრთხის აღმოფხვრის, სხვა კარდინალური საკაცობრიო პრობლემების გადაჭრის საჭიროების მზარდ გაცნობიერებას. ჩვენი ქვეყანა ყოველ ღონეს იხმარს, რათა სხვა სახელმწიფოებთან ერთად ახალი პოლიტიკური აზროვნების საფუძველზე გადაჭრას ეს პრობლემები და უზრუნველყოს კაცობრიობის გაძლება-გადარჩენა, ცივილიზაციის პროგრესი.

ჩვენ მოვუწოდებთ საბჭოთა კავშირის მშრომელებს გამოიჩინონ საბჭოთა ადამიანების ყველა თანთანისადმი ჩვეული გმირობა და თავდადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური გეზის რეალიზაციაში. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დავამკვიდროთ და გავაძლიეროთ პოლიტიკური აღმავლობა, რომელიც დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის დღესასწაულმა გამოიწვია.

დღეს გარდაქმნას ახალი ეტაპი დაუდგა, ღრმავდება დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პროცესები, იწყება სამეურნეო მექანიზმის რადიკალური რეფორმის განხორციელება. ახლა მთავარია მთელი ძალისხმევა მოვახმაროთ კონკრეტულ საქმეებს, დაძაბულ, შემოქმედებითს მუშაობას ქვეყნის მშვიდობიანი და ბედნიერი მომავლის საკეთილდღეოდ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

მარტენის საამქროს პარტორგი

საქართველოს შავი მეტალურგიის ფლაგმანს — რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას ხუთწლედის მეორე წლის ფინიშზე წარმატებათა მიღწევაში ხელი შეუწყო მიზანმიმართულმა მუშაობამ კადრების დამკვიდრებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვისათვის.

ქარხანაში გარდაქმნა დაკავშირებულია პირველადი პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობის გადიდებასთან. „სწორედ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ინიციატივაზე, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებული გარდაქმნათა მომდინარეობა, ადამიანთა დარაზმვისა და შთაგონების უნარი, მუშობაში კონკრეტული გაუმჯობესების მიღწევის უნარი", ნაზგასმით აღნიშნა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში მ. ს. გორბაჩოვმა.

თუ პარტორგანიზაციის ცხოვრება მკვეთრად არ გააქტიურდა, გარდაქმნა არ მოხდება. ეს კარგად ესმით მარტენის საამქროს კომუნისტებს. კოლექტივის თითოეულ წევრთან საჭირო კონტაქტის დამყარების უნარი აქვს პარტიულ ორგანიზაციის მდივანს პეტრე უჩას ძე მარუაშვილს. დაინახეს რა კონკრეტული ამოცანები, მარტენელებმა ათ თვეში გამოადნეს 1.178.641 ტონა ფოლადი და 14 ათასი ტონით და მეტად გადააჭარბეს გეგმას. ამასთან შემცირებულია თითოეული ტონა ლითონის თვითღირებულება, რის ხარჯზეც მიღწეულია 1,5 მილიონი მანეთი ეკონომია.

სურათებზე: ბევრი რამ აქვთ ხალაპარაკო კომუნისტთა წინამძღოლს პეტრე მარუაშვილსა და მარტენის საამქროს კომკავშირის კომიტეტის მდივანს ნუგზარ ფანჩიკიძეს; მარტენის საამქროში.

ი. შალამოვისა და ვ. ტერეშჩენკოს ფოტო. (საქინფორმის ფოტოკორესპ.).

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

4 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტში გაიმართა სამინისტროების, ცენტრალური ეკონომიკური უწყებების ხელმძღვანელთა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკთა თათბირი, რომელზეც განიხილეს საკითხი სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასასვლელად დარგების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მომზადების საქმის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

ინფორმაცია მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობისათვის დარგების, საწარმოებისა და სამეცნიერო ორგანიზაციების მზადების მიმდინარეობის შესახებ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეკონომიკური განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ ვ. პ. მოკინმა.

თათბირზე გამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახმომარაგების თავმჯდომარე ლ. ა. ვორონინი, სსრ კავშირის სახბანკის გამგეობის თავმჯდომარე ნ. ვ. გარეტოვსკი, სსრ კავშირის მინისტრები ო. გ. ანფიმოვი, ვ. მ. ლუკიანენკო, მ. ი. ბუსიგინი, ს. ვ. კოლპაკოვი, მ. ს. შაბარდნინა, ა. ნ. შეკეტელნიკოვი, რომლებმაც ილაპარაკეს ამ მხრივ გაწეული მუშაობის შესახებ.

თათბირზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს სამრეწველო საწარმოთა, სამშენებლო, სატრანსპორტო, სამეცნიერო ორგანიზაციათა ძირითადი ნაწილის მომავალ გადასვლას სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე. დემოკრატიზაციასთან განუყოფელი კავშირით ეკონომიკის მართვის რეფორმა ჩვენი საზოგადოების გარდაქმნის ახალი ეტაპის დედაარსია.

აღინიშნა, რომ სამინისტროები და უწყებები, საწარმოები და ორგანიზაციები, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ეწევიან მოსამზადებელ მუშაობას მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადასასვლელად სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონის შესაბამისად, რომელიც 1988 წლის 1 იანვრიდან შემოიღება სამოქმედოდ. ახალ პირობებში მუშაობისათვის საწარმოთა, უწყება-სამინისტროთა მზადების დონე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს შრომითი კოლექტივების დიდფექტიან, წარმატებულ მუშაობას. ყურადღება დაეთმო იმას, რომ მთელ რიგ სამინისტროებში, უწყებებში, ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციაში ურიგდებიან ამ მუშაობის ჯერთვან შეუფასებლობას. ამიტომ ძალზე საჭიროა უმოკლეს ვადაში აღმოიფხვრას ყველა დარგში არსებითი ხარვეზები მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, დგეგმვისა და დაფინანსების სისტემაში, უშუალოდ საწარმოებში ტექნიკური, ორგანიზაციული და ფინანსური ღონისძიებების განხორციელებაში.

თათბირზე უწყება-სამინისტროთა ხელმძღვანელების, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყურადღება მიეპყრო იმას, რომ წლის დამლევამდე დარჩენილ დროში უსათუოდ უზრუნველყონ მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ამოცანების უეცარობელი გადაწყვეტა. ეს უწინარესად ეხება ეკონომიკური ნორმატივების, სახელმწიფო შეკვეთების დახვეწა-დაზუსტებას, პროდუქციის მიმწოდებელთა და მომხმარებელთა შორის სახელშეკრულებო კამპანიის დამთავრებას. მთელი ეს მუშაობა უნდა წარიმართოს სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონის ზუსტად დაცვის, სახალხო მეურნეობისა და შრომითი კოლექტივების ინტერესების გათვალისწინებით.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ცალკეული გაერთიანებებისა და საწარმოების ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების საკითხები, ამ მიზნით ყოველი მათგანისათვის უნდა შემუშავდეს შესაბამისი ეკონომიკური, ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებანი. სამინისტროებსა და ცენტრალურ უწყებებში უნდა განხილონ ამასთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხები, უფრო აქტიურად უნდა ჩაებას ამ მუშაობაში საბანკო სისტემა. დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების, რესურსდამზოგველი ტექნოლოგიური პროცესების ფართოდ დანერგვას.

სერიოზული ყურადღება დაეთმო საგეგმო დავალებათა შეწონასწორებისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებს. ბევრ საწარმოში პრაქტიკულად არ მიმდინარეობს შიდასაწარმოო სამეურნეო ანგარიშის დანერგვა, არ არის უზრუნველყოფილი მისი გაცნობა უშუალოდ მუშაკებისათვის. საჭიროა, სამეურნეო რეფორმის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მთელი ყურადღება დავუთმოთ ამ საკითხებს, კოლექტიური იჯარის ფართო დანერგვას.

არსებითად უნდა გაუმჯობესდეს ეკონომიკური სწავლების საქმის მდგომარეობა. ბევრი ეკონომიკური სკოლა და სემინარი ჯერ კიდევ ძველებურად მუშაობს, ნელა ებმებიან ამ მუშაობაში უწყება-სამინისტროები, პროფკავშირული ორგანიზაციები, სამეურნეო ხელმძღვანელები, არ არის საკმარისი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონაწილეობა ეკონომიკურ საყოველთაო სწავლებაში, მეურნეობრიობის ახალი პირობებისათვის საწარმოებისა და დარგების მზადების მიმდინარეობის გაშუქებაში.

ქვეყანას გარდაქმნის ძალზე პასუხსაგები პეროდი დაუდგა. არსებითად, მომავალი წლის დამდეგიდან სიმწიფის შემოწმებას გაივლის ბევრი პარტიული კომიტეტი, ყველა დონის სამეურნეო ხელმძღვანელი. და ამოცანა ის არის, რომ გავაიროთ ეს გამოცდა მტკიცედ, მივაღწიოთ, მეურნეობრიობის ახალ ფორმებსა და მეთოდებზე დაყრდნობით, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარებას.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ნ. ზაიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. დოლგიხი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. ბირიუკოვი, გ. პ. რაზუმოვსკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები. (საკდსი).

ინტერესთა ინტერიერში

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ეკონომიკის მოღონიერებისა და სრულქმნის რეზერვების ვეებერთელა ტაბულის წინ დგგაყეენეს და მილიონნი (ცხადია, პირობითად) რეზერვიდან უმთავრესის დასახელება გვთხოვეს.

ალბათ, კაღნიერებად არ ჩამოგვერთმეცა, თუ წინდაწინ გამოვიცნობთ ამგვარი სოციოლოგიურ-ეკონომიკური კვლევის უმთავრეს შედეგს — **ნებისმიერ სხვა რეზერვს, მეურნეობის წარმართვის სხვა ჭირ-ბოროტს ინტერესი დაჩრდილავს, ინტერესი დაიჭყლეტნება.** ამას დიდი მისნობა იმიტომაც არ სჭირდება, რომ ინტერესის ბადალ, მისებრ „უცვეთელ" პრობლემას ეკონომიკა ჯერჯერობით არ იცნობს.

ეშმარიტად, საითაც უნდა გაეიხედოთ, როგორადაც უნდა მივდგე-მოვდგეთ, ეკონომიკის რომელ პრობლემასაც უნდა ვიხილავდეთ, ადრე თუ გვიან ისევ ადამიანის სოციალურ საფიქრალსა და სატკივარს მივადგებით ხოლმე, რომელიც უთუოდ რომელიმე ინტერესში ვლინდება, მთელი მისი ძალისხმევა ამ კონკრეტული ინტერესის აღსრულებას ემსახურება. და თუ ჩვენ გვინდა სწორად წარვმართოთ მისი საქმიანობა, ჯერ სრულად უნდა გავიაზროთ ეს ინტერესი, მერე კი მივუსადაგოთ სტიმულების იმგვარი სისტემა, რომელიც ყველაზე უკეთ დაკმაყოფილებს ამ ინტერესს, ამასთან, ცხადია, უზრუნველყოფს ჩაფიქრებული ამოცანის შესრულებასაც. სხვა გზა არ არის, **მხოლოდ სტიმულის მეშვეობით უსწორდება პინა-პინას, სიტყვა — საქმეს, ინტერესი — ინტერესს.**

ამჟამინდელი რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელება მიზნად ისახავს მართვის იმგვარი ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას, რომლის შემეწობითაც თითოეული კოლექტივი, თითოეული მშრომელი შეეცდება მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი უნარი და შესაძლებლობანი საზოგადოებრივ წარმოებაში, მისი ეფექტიანობის ამაღლებაში, ცხადია, ეს ამოცანები მით უფრო ადვილად გადაწყდება, რაც უფრო მეტადროდ დაუკავშირდება ერთმანეთს საწარმოო და სოციალური ინტერესები, სახელმწიფოს, კოლექტივისა და პიროვნების ინტერესები.

ათწლეულების მანძილზე ჩვენ, სამწუხაროდ, გამუდმებით ვლაპარაკობდით სახელმწიფო ინტერესის პრიმატზე, პირადი, კოლექტიური და საზოგადოებრივი ინტერესების შეხამების საქმეს კი რატომღაც ერთი ხუთწლედიდან მეორეს გადაეულოცავდით ხოლმე. არადა, ამ ინტერესების დაპირისპირება ყოველად უმართებულო იყო და არის, იგია ყოველგვარი უკურეაქციის მიზეზი. მათი ერთობლიობა, მათი ურთიერთშეხამება, ერთ დუღაბში მოქცევა იძლევა საზოგადოების უმთავრესი მიზნის ერთგულებას.

გათანაბრების ტენდენციების მომძლავრებით (როცა ინერტულობა და ენერგიის უზომო ხარჯვა თანაბრად ნაზღაურდება), მუშაკთა წახალისებაში, ყოველად გაუმართლებელი ზღვრის დაწესებით, — ინტერესთა სისტემაში კარგა მოზრდილი ბზარი გაჩნდა.

არადა, ნებისმიერ ადგილზე მომუშავე ნებისმიერი მუშაკისათვის ძნელი როდია იმის გაგება, თუ რა წვლილით შეიძლება ხელფასსა თუ პრემიის დასაშვები მაქსიმალური ოდენობის მიღება. **იცოდნენ და მეტწილად წერტილსაც კი სვამდნენ. შეეძლოთ და არ აძლევდნენ ქვეყანას „საკმარისზე" მეტს, რაკი ზედმეტი გარჯისათვის, მცდელობისთვის (რაგინდა „წონადიც" უნდა ყოფილიყო), დამატებით ვეღარაფერს მიიღებდნენ.**

ახლა ვიკითხოთ, მუშაკთა წახალისებაში გათანაბრებისა და ზღვრის დაწესებამ განა სახელმწიფო ინტერესი კი გააძლიერა? სამუშაოზე მექანიზმს, რომელიც ჩვეულებრივ, ეკონომიკური გარანტიების მოშლითა და ინტერესის დაქვეითების შერწყმით ძლიერდება, არც შეეძლო და ვერც გააძლიერა სახელმწიფო ინტერესი. **ასეთ პირობებში საწარმო გაცილებით მეტს კარგავდა, ვიდრე მუშაკი, ხოლო სახელმწიფო ზუსტად იმდენს, რამდენსაც ყველა საწარმო ერთად აღებული.**

ამგვარად, ათწლეულების მანძილზე არასწორად გააზრებული სტიმული ფაქტობრივად ანტისტიმულად გადაიქცა. ინტერესთა წინააღმდეგობის ხელოვნურად გაჰარმონიულებამ, ბუნებრივია, სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. ამ პრობლემის მოგვარების წარუმატებელი ცდები კი მხოლოდ დენადმე მოწყვეტაზე, წინააღმდეგობაზეც კი (ცხადია, ეს ანტაგონისტური წინააღმდეგობა როდია), რამაც, საბოლოო ანგარიშით, ისევ სახელმწიფო ინტერესი დაზიანა, დააზიანა იმიტომაც, რომ ბაოვწად რომ ვთქვათ, ცხენი სხვაგან იყო და მხედარი სხვაგან.

ამის გაგება და დანახვა ძნელი როდი იყო, მაგრამ თქმა კი გაჭირდა. აი, რატომ არის, ჩვენი აზრით, უფიქმდებლური, ინტერესის საერთო პრობლემატიკაში გარდამტეხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე თქმული ერთი თეზისი: „გარდაქმნის აზრი, საბოლოო ანგარიშით, სწორედ ის არის, რომ გავითვალისწინოთ ინტერესები, მოვახდინოთ ზემოქმედება ინტერესებზე, ვმართოთ ისინი და ვმართოთ მათი მეშვეობით".

თუ შრომითს კოლექტივებში სოციალურ პრობლემებს გაგებ არ ავამსუბუქებთ, თუ მუშაკაცს ვაგრძნობინებთ, რომ წარმოება (ორგანიზაცია) ზრუნავს მასზე (ცხადია, თუკი ამას იმსახურებს), იგი არა მარტო სიტყვით, რეალურადაც იგრძნობს თავს წარმოების ზიანს აყენებდა ადამიანთა რწმენას, ურომლისოდაც, პიროვნული და კოლექტიური ინტერესების, პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესების შეხამება და მეტადრე შერწყმა, დამეთანხმებთო, თითქმის შეუძლებელია.

რაკი ვგრძნობ ოპონენტთა ერთი ნაწილის სათქმელს, პასუხს ბარემ აქვე გავცემ: **არავინ ამბობს, რომ ხახელმწიფოს ინტერესი განმსაზღვრელი არ უნდა იყოს, მისი პრიმატი (ლენინური თვალსაზრისია!) ინტერესთა მთელ გამაში უდავოა და ეჭვს არც იწვევს.** სახელმწიფო ინტერესის გულისათვის შეიძლება და უნდა დათმო კიდეც ბევრი რამ (რაც ჩვენს ხალხს მრავალგზის უყოყმანოდ გაუკეთებია), მაგრამ აქ ლაპარაკია სახელმწიფოებრივი ინტერესიდან ხანგრძლივი დროის მანძილზე პიროვნული ინტერესის რამანეთი უფრო ახდენს, როცა მავანი და მავანი ხელფასს არაფრისთვის იღებს, როცა მისი ხელფასი თუ ტანინს რეალურ წვლილს, რეალურ ფასს, მიკროსკოპითაც რომ ძაღანო, ვერ ადმოაჩენ!

გარდაქმნის ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილური ამოცანა სწორედ ის არის, რომ ყოველმხრივ ავამაღლოთ და გავზარდოთ მშრომელი კაცის ავტორიტეტი, შევქმნათ მისი ნიჭისა და ტალანტის გამოვლინების ყველაზე ხელსაყრელი პირობები.

ინტერესთა წიაღში ერთგვარი ექსკურსის შემდეგ, შეეეცდებით ზემოთქმული პრაქტიკული მაგალითითაც დავადასტუროთ.

ნათქვამია, ჭკვიანი გამოსავალს ეძებს, ბრძენი კი საქმეს იქმნიან მიიყვანს, გამოსავლის ძებნა რომ დაესწირდესო. ახლახან „კომუნისტის" ფურცლებზე დაიბეჭდა „საქმაღალდმრეწვის" საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის ოთარ ფაცაციას წერილი სათაურით „4 მილიონი მანეთი ჯანმრთელობისათვის". ამ ბოლო წლების მანძილზე გაერთიანება მუშაკთა ჯანმრთელობის გასაუჯანად მათი ერთობლივი მცდელობაა საჭირო.

ეგრეთ წოდებული „გადიდებული უფლება" კოლექტივისათვის არავის უბოძებია, მათ ეს უფლება თავად მოიპოვეს, ერთბაშად კი არა, რაღმე დადგენილების საფუძველზე კი არა, მისხალ-მისხალ, ნაბიჯ-ნაბიჯ. წინააღმდეგობანი? დაბრკოლებანი? იყო და რაღანარი აღარ, მაგრამ როგორც ზღაპარ „წიქარაშია", ყველა დაბრკოლება იძლეოდა, რაგვან „ზედმეტად თამამ" სიახლეთა აღვირის ამოსადებად უფრო ჭკვიანური, უფრო დასაბუთებული კონტრარგუმენტი არავის გააჩნდა. ამიტომაც ვერ უყეელს, ვერ გაამრუდეს კარგი ჩანაფიქრი.

ოთარ ფაცაცია და მისი თანამოაზრენი დღევანდელში შუდამ სახვალეო ხაქმეს აბუდებდნენ, ნებისმიერი პრობლემის „ავადმყოფობის" პერიოდშივე სახვალეო „ნაყოფსაც" სხვაზე უწინ ხედავდნენ.

„საქმაღალდმრეწვის" სოციალურ პროგრამაში ისეთი პუნქტს ვერავინ დაძებნის, სამეურნეო პრაქტიკაში გადასვლა რომ გაუჭირდეს.

მუშაკაცზე ზრუნვა სამუშაო ადგილიდან იწყება. ღამის ცვლაში მომუშავენი **უზრუნველყოფილი არიან** ფუასო ცხელი **კერძებით. ყველასათვის** არსებობს **უფასო ჩაის კუთხე, გაერთიანების დამხმარე მეურნეობიდან მოაქვთ.**

გაერთიანება ყოველწლიურად 118 ათას მანეთს ხარჯავს, რათა მშრომელებს მათთვის ხელსაყრელ ფასებში მიჰყიდოს პროდუქტი, მქაღალდეთა მიკრორაიონის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის კი წელიწადში 400 ათასი მანეთი იხარჯება. 90 ათასი მანეთი ხმარდება მუშათა უფასო ტრანსპორტირების. მიკრორაიონში დღეისათვის საყოფაცხოვრებო მომსახურების თითქმის ყველა პროგრესული ფორმაა დანერგული. **ახალმოსულთათვის გაერთიანებას გამოხდილი აქვს სასტუმროს ტიპის 306-ადგილიანი საერთო საცხოვრებელი, დაოჯახების შემდეგ მუშაკს გარანტირებული აქვს ბინის მიღება.** მექაღალდეების მიკრორაიონის მშვენებაა ორდარბაზიანი 800-ადგილიანი კულტურის სასახლე, 120-ადგილიანი თანამედროვე ფეშენებელური სასტუმრო, სტადიონი, ორი საშუალო სკოლა, წყალსაჯიმარდო კომპლექსი, ორი საბავშვო ბაღი, ფოსტა, ტელეგრაფი, შეშახვილი სალარო, აფთიაქი,ეწწყებრივი ავტომატური სატელეფონო სადგური, ფურნე და ა. შ. ან, მოკლედ, ისეთია მიკრორაიონის ამჟამინდელი მიკროკლიმატი.

ამგვარი კლიმატი, მოგეხსენებათ, თავისთან არ მოდის, მას შეატყვიანი ეკონომიკური „საფანელი" სჭირდება. უკანასკნელი 7 წლის მანძილზე აქ წარმოების მოცულობა გაიზარდა 80 პროცენტით, წარმოების მატების 90 პროცენტი შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით არის მიღწეული, ფონდმოგება გაიზარდა 85 პროცენტით, სახალანხო მოგება კი თითქმის 10-ჯერ!

საწარმოსა და პიროვნების ინტერესთა ერთიანობის შესანარჩუნებლად ოთარ ფაცაციას და მის კოლეგებს მრავალგზის მოუხდათ მოძველებული ინსტრუქციების მოთხოვნათა დარღვევა, რომელთაგან ზოგიერთი ყველაფერს ითვალისწინებდა, ადამიანის ინტერესის გარეთ. **ამგვარ ვაი-ინსტრუქციებს 1988 წლის იანვრიდან, როგორც ცნობილია, ამბოლეს.**

ფასებით იყიდება ღორის ხორცი, კიტრი, პამიდორი, მწვანილი, თაფლი, ცოცხალი თევზი, რომლებიც საკუთარ დამზმარე მეურნეობიდან მოაქვთ.

ეს ათას მანეთს ხარჯავს, რათა მშრომელებს მათთვის ხელსაყრელ ფასებში მიჰყიდოს პროდუქტი, მქაღალდეთა მიკრორაიონის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის კი წელიწადში 400 ათასი მანეთი იხარჯება. 90 ათასი მანეთი ხმარდება მუშათა უფასო ტრანსპორტირების. მიკრორაიონში დღეისათვის საყოფაცხოვრებო მომსახურების თითქმის ყველა პროგრესული ფორმაა დანერგული. **ახალმოსულთათვის გაერთიანებას გამოხდილი აქვს სასტუმროს ტიპის 306-ადგილიანი საერთო საცხოვრებელი, დაოჯახების შემდეგ მუშაკს გარანტირებული აქვს ბინის მიღება.** მექაღალდეების მიკრორაიონის მშვენებაა ორდარბაზიანი 800-ადგილიანი კულტურის სასახლე, 120-ადგილიანი თანამედროვე ფეშენებელური სასტუმრო, სტადიონი, ორი საშუალო სკოლა, წყალსაჯიმარდო კომპლექსი, ორი საბავშვო ბაღი, ფოსტა, ტელეგრაფი, შეშახვილი სალარო, აფთიაქი,ეწწყებრივი ავტომატური სატელეფონო სადგური, ფურნე და ა. შ. ან, მოკლედ, ისეთია მიკრორაიონის ამჟამინდელი მიკროკლიმატი.

ამგვარი კლიმატი, მოგეხსენებათ, თავისთან არ მოდის, მას შეატყვიანი ეკონომიკური „საფანელი" სჭირდება. უკანასკნელი 7 წლის მანძილზე აქ წარმოების მოცულობა გაიზარდა 80 პროცენტით, წარმოების მატების 90 პროცენტი შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით არის მიღწეული, ფონდმოგება გაიზარდა 85 პროცენტით, სახალანხო მოგება კი თითქმის 10-ჯერ!

საწარმოსა და პიროვნების ინტერესთა ერთიანობის შესანარჩუნებლად ოთარ ფაცაციას და მის კოლეგებს მრავალგზის მოუხდათ მოძველებული ინსტრუქციების მოთხოვნათა დარღვევა, რომელთაგან ზოგიერთი ყველაფერს ითვალისწინებდა, ადამიანის ინტერესის გარეთ. **ამგვარ ვაი-ინსტრუქციებს 1988 წლის იანვრიდან, როგორც ცნობილია, ამბოლეს**

სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონი. კერძოდ, მე-13 მუხლში წერია, რომ საწარმო „ორგანიზაციას უწევს საზოგადოებრივ კვებას, უზრუნველყოფს ყველა მუშაკს ცხელი საღილით, საჭიროებისამებრ იყენებს სოციალური განვითარების ფონდის სახსრებს სასადილოსა და ბუფეტებში კვების გასაიაფებლად, აქტიურად ავითარებს საკუთარ დამზმარე სოფლის მეურნეობას".

ერთი სიტყვით, გაერთიანებაში შექმნილ მიკროკლიმატს სწორედ ის მიზიდულობის ძალა აქვს, ბევრგან რომ გვაკლია. და ეს მიზიდულობის ძალა, როგორც ვნახეთ, ინტერესია, ურთიერთმზრუნველობაა და არა ურთიერთპრეტენზია. სწორედ ამგვარი ზრუნვის შედეგია, რომ გაერთიანების ათასამდე მუშაკმა შვილიც გვერდში ამოიყენა, ძალიან ბევრს სურს შვილმაც გაიაროს აქაური ცხოვრების სკოლა, თუნდაც ცოტა ხნით, მერე სხვაგანაც ივარგებს, „აღარ დაიკარგება".

მართლაც ბედნიერებაა, როცა საწარმოს, თუ ორგანიზაციის სამართავ პულტთან ახეთი ხელმძღვანელები დგანან. ბედნიერებაა, რადგან იქ, როგორც წესი, პირადი ინტერესების გამარჯვებას სახელმწიფო ინტერესიც ზეიმობს, მათი გამარჯვება სახელმწიფოს, საზოგადოების გამარჯვებაც არის.

მეტი სოციალიზმი, — ჩვენ კი სწორედ მეტი და უკეთესი სოციალიზმი გვინდა, — წარმოუდგენელია მეტი დაინტერესების გარეშე. ამხ. მ. გორბაჩოვის სიტყვები რომ მოვიშველიოთ „მშრომელთა ინტერესები მთელი გარდაქმნის მთავარი კრიტერიუმია".

დიახ, მასების უზარმაზარი სოციალური ენერგია სწორედ ინტერესსა უნდა გამოათავისუფლოს, ინტერესსა უნდა მისცეს მას სოციალისტური სახელმწიფოსათვის სასურველი სადინარი. ეკონომიკა ინტერესის მეშვეობით უნდა ვმართოთო, რადგან არათუ ეკონომიკაში, საერთოდ, ბუნებაშიც არ არსებობს გარდაქმნის უკეთესი (უფრო ერთგული, უფრო ბუნებრივი) დამაჩქარებელი.

ზაზა კაციაშვილი,
„კომუნისტის" მომმზილველი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

მუსიკალური კ

ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲣᲙᲔᲗ, ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲐᲓ

„ᲣᲤᲐᲠᲐ ფართოდ უნდა ვნერგავდეთ მართვის ეკონომიკურ მეთოდებს, შიდასამეურნეო ანგარიშს, დანაბარჯების კონტროლის საჩეკო ფორმას, კოლექტიურ იჯარას..." — ეს სტრიქონები წერილიდან, რომლითაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიმართა მექანიზატორებს, სამეურნეო-ანგარიშიანი საიჯარო კოლექტივების ხელმძღვანელებს, სპეციალისტებსა და მეცნიერებს, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, სოფლისათვის მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მიმწოდებელი მრეწველობის მუშაკებს, აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა შრომითს კოლექტივს, ძალზე ზუსტად ახასიათებს ჩვენი საფუარის ქარხნის მშრომელთა ამოცანებს. და მართლაც, ახლა განსაკუთრებით საჭიროა ყურადღება მივაპყროთ წარმოების შემდგომ გაუმჯობესებას, შრომის ორგანიზაციის პროგრესულ ფორმებს, მეცნიერებისა და წარმოების კავშირს, რაც საშუალებას გვაძლევს შემჭიდროებულ ვადებში გავზარდოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, გავაუმჯობესოთ პრიდუქციის ხარისხი, უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილება სურსათ-სანოვაგეზე.

ამ მოთხოვნათა შესაბამისად დაინერგა ჩვენთან სწრაფად მოქმედი საფუვრის „ექსპრესის" წარმოების დიდეკონომიური ტექნოლოგია. მან საშუალება მოგვცა ჩვენი საწარმო მოწინავეთა რიგებში ჩაგვეყენებინა. შეგვექმნა შრომის ნაყოფიერების სტაბილური ზრდის გარანტია, მნიშვნელოვნად გაგვზარდა პურის ცხობაში შეუცვლელი ამ პროდუქტის წარმოება. მაგალითად, ქარხნის მშრომელებს დადაწყვეტილი აქვთ წლის დამლეგისათვის გეგმით გათვალისწინებული ექვსი ათასი ტონის ნაცვლად გამოუშვან 8.200 ტონა ძვირფასი საკვები ნედლეული.

ამჟამად ქარხნის ყველა ბრიგადა სამეურნეო ანგარიშით მუშაობს. მიუხედავად ამისა, უკვე დღეს ვითვალისწინებთ ყველა საჭირო ვარიანტს, ვეძებთ შესაძლებლობებს, რათა ახლო მომავალში სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადავიყვანოთ სამმართველო აპარატი. ვსახავთ წარმოების შემდგომი გაფართოება-რეკონსტრუქციის გზებს.

სიძნელეებიც გვაქვს, მაგრამ ამჟამად ჩვენს წინაშე დგას ერთი ძირითადი ამოცანა — მივაღწიოთ ტექნიკის სრულ უკუგებას ექსპლუატაციის დროს, უფრო მეტად გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება, მექანიზაციის პროცენტი, გამოვრიცხოთ ხელის შრომა დატვირთვა-გადმოტვირთვის დროს.

Გ. ᲙᲕᲘᲜᲘᲮᲘᲫᲔ,
თბილისის საფუარის ქარხნის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲠᲝᲪᲐ ᲕᲐᲖᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲒᲐᲡ ᲒᲘᲮᲓᲘᲡ

ᲡᲐᲯᲐ ცენტრალური კომიტეტის წერილში მკაფიოდ და ზუსტად არის ლაპარაკი იმაზე, რომ საჭიროა ფართოდ დაინერგოს კოლექტიური, ოჯახური იჯარა, რომ მიწათმოქმედთა წინაშე დასახული რთული ამოცანების გადაწყვეტა საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას. ამასთან დაკავშირებით მინდა შევეხო ჩვენს, თუნდაც ჯერ კიდევ მცირე, მაგრამ უკვე მაინც გამოცდილებას. სიღნაღის რაიონში ჩემი ოჯახი, შეიძლება ითქვას, პიონერი გახდა ბრიგადული იჯარის ათვისების საქმეში. მრავალი წლის მანძილზე ქვეთოდეზოდა მოსავლიანობა ტბაანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კოპლექსის 36 ჰექტარ ზვრებში. როცა შევიტყვეთ, რომ არსებობს ისეთი ფორმა, როგორიც ოჯახური იჯარაა, მე და ჩემი ოჯახის წევრებმა გადავწყვიტეთ გვეკისრა ვენახის მეურვეობა.

ამით არც საბჭოთა მეურნეობას წაუგია, და ჩვენც მოგებული დავრჩით. შარშანდელი გეგმით გათვალისწინებული 230 ტონა ყურძნის ნაცვლად მოვიწიეთ 508 ტონა. 500 ტონაზე მეტი ყურძენი მოვკრიფეთ წლევანდელ რთველში. ჩვენმა ბრიგადამ, რომელმაც ექვსი კაცი შედის, მარტო 46 ათას მანეთზე მეტი პრემია მიიღო.

დღეს რაიონში მარტო ჩვენი ოჯახი როდი მისდევს ამ საქმეს. სულ უფრო მეტი ბრიგადა გადადის შრომის ორგანიზაციის ამ ფორმაზე მევენახეობაში, მეცხოველეობაში, სხვა დარგებში, მაგრამ თავად ცხოვრება გვიკარნახებს, რომ საჭიროა უფრო ფართოდ გავავრცელოთ ეს გამოცდილება.

Დ. ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
სიღნაღის რაიონის ტიბაანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კოპლექსის მევენახეთა ოჯახური ბრიგადის ბრიგადირი.
(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲛᲘᲬᲘᲡ ᲧᲘᲕᲘᲚᲡᲐᲪ ᲛᲘᲕᲣᲒᲓᲝᲗ ᲧᲣᲠᲘ

△ ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲘ △ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘᲗ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ △ ᲡᲣᲠᲗᲔᲑᲔᲚᲔᲑᲘ ᲑᲐᲠᲔᲚᲔᲑᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲑᲘᲐᲜ △ ᲐᲛ ᲬᲐᲚᲙᲝᲢᲘᲡ ᲛᲘᲢᲝᲕᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ?! △ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲔᲙᲝ ᲛᲝᲗᲐᲨᲘ

ᲡᲣᲤᲡᲘᲡ ზემო წელის ხეობაში მდებარე სოფლები — დიდი ვანი, შუა სურები და ზემო სურები ერთმანეთზეა გადაბმული და აქაურები სურების მხარეს ეძახიან. ამ სამ სოფელს — სამ მოყვას მეზობელს შრომისა და გამარჯვების თანაზიარი ისტორია აქვს: ერთად იბრძოდნენ თურქი მომხვდურებისა თუ ადგილობრივი ბატონების წინააღმდეგ, მეფის მთავრობის დასამხობად, მეწშეკიკების ასალაგმავად და ახალი ცხოვრების დასამკვიდრებლად.

სოფლის სანდაზმულებს ახლაც ახსოვთ ლეგენდა თუ სინამდვილე — ხეს ამოფარებული თურქი მომხვდურები დღენიადგან როგორ უთვალთვალებდნენ აქ ლამაზ ყმაწვილებს, ხელსაყრელ მომენტს უცდიდნენ, რომ გაეტაცათ ისინი და ოსმალეთში გაეყიდათ. ვინ მოთვლის, რამდენი სურეელი გოგონა და ვაჟი გაუყიდიათ სტამბოლის ბაზარზე; მაგრამ აქაური ვაჟკაცებიც თავგანწირვით ებრძოდნენ, შიშის ზარს სცემდნენ მოძალადეებს. ლეგენდარული სურეელი გმირი გიორგი სანიკიძე ცნობილი ხეველი ბუღარა მამალაძის მეგობარი და ძმადნაფიცი იყო. ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და ადგენდნენ გეგმებს, თუ როგორ მოესპოთ მომხდურნი. ადგილობრივ მკვიდრთა გატაცება-გაყიდვის იმ ავბედითს დროს „ჩეთობის" ხანას უწოდებენ სურეებში.

ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს მდიდარი ისტორიული მასალები აქვს იმ მამაც ვაჟკაცთა უკვდავსაყოფად, რომლებიც ქედს არ უხრიდნენ ბატონყმობის შავბნელ რეჟიმს. სუფსის ხეობის მოსახლეობა თაყვანს სცემს ლომგული ვაჟკაცის გლახუნა კიკვაძის გმირობას, რომელიც თოფით ხელში აშკარად ებრძოდა ერისთავებს. ამისათვის იგი ირკვესტის შორეულ მხარეში გადასახლეს. მთელ სოფელში სახელგანთქმულმა ალმასხან ბედინეიშვილმა ვერ აიტანა ბატონის აკაკაობა, ღამით მიუსდგა სახასლეში და სიცოცხლეს გამოასალმა ერისთავი; შემდეგ ოცდახუთი წლის განმავლობაში ფირალად იყო გავარდნილი. იგი 1906 წელს გარდაიცვალა და პატივით დაასაფლავეს არარეგალურად მომუშავე რევოლუციონერებმა. ეს ფაქტები იმიტომ მოგვყავს, რომ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა დამახასიათებელი იყო ამ მაღალ მთებში მცხოვრები გულადი გლეხობისათვის.

1905 წლის ივნისში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტის მითითებით სურეს არარეგალურმა პარტიულმა ორგანიზაციამ მიიღო საიდუმლო დავალება: ლანჩხუთის რკინიგზის სადგურიდან გიეტაცათ ახალმიღებული თოფის ქარხანა მთელი თავისი მოწყობილობით. ეს იოლი საქმე არ იყო. ქარხანას საგულდაგულოდ იცავდნენ ჟანდარმები. ამავე დროს სურეების ხაზზე დღედაღამ „მოძრაობდნენ" მეფის ოხრანკის წარმომადგენლები, რადგან ეს სოფლები შემჩნეული იყო მეფის მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობაში. სოფლის რევოლუციონერებმა თოფის ქარხნის გუშაგთა ლიკვიდაცია დაავალა გულად მებრძოლს სილოვან ბარამიძეს, რომელმაც იმავე ღამეს იარაღი აპყარა ერთერთ მცველს და ნაბადში შეხვეული შემოიგდო ცხენზე, აიყვანა სურებში და კასიანე ეზიაშვილს ჩააბარა. თოფის ქარხანა კი ურმით ჩაიტანეს ჩოხატაურში, ნაწილებად დაშალეს და ჟანდარმებისათვის თვალის ასახვევად სუდარით შემოსეს, კუბოებში ჩადეს ისე, თითქოს მართლაც მკვდარი მიჰქონდათ. გზაში შემხვედრ მეფის სატრაპებს კი ეუბნებოდნენ: გადადექით, გეთაყვა, ეს უბედურები შავმა ჭირმა დახოცა, თქვენც არ გადაგვდოთ განუკურნებელი სენიო. შეშინებული ჟანდარმები მყისვე უთმობდნენ გზას.

თოფის ქარხანა სოფლის ერთერთ მყუდრო, მიუვალ ადგილას „ჩიხნარში" აიტანეს და აყენეს კიდეც. ეს ამბავი გიგო ოზურგეთის მაზრის ეგზეკუციის მეთაურმა ტოლმაჩოვმა. იგი გაძლიერებული რაზმით თავს დაესხა სურეების მოსახლეობას, მთელი სოფელი გაჩხრიკა, მაგრამ ქარხნის ადგილს ვერ მიაგნო. სამაზრო მთავრობამ ახლა რელიგიიაც გამოიყენა მთაში ატეხილი რევოლუციური გამოსვლების ჩასახშობად. ერთ დღეს მაზრის უფროსის ჯაფარიძის განკარგულებით სოფელ შუა სურების ეკლესიიდან დიდი ხატი — „ლომისკარელი" ბუკისციხეში ჩამოასვენეს და გამართეს დიდი ფიცი ხატის წინაშე. ზოგიერმა უნებისყოფო გლეხმა „ლომისკარელის" შიშით გასცა კიდეც „ახალი თაობის" რამდენიმე აქტიური მებრძოლი.

ამ რელიგიური გავლენის აღსაკვეთად გურიის კომიტეტის დავალებით გადაწყვიტეს სოფელ დიდი ვანის ეკლესიიდან გაეტაცათ „ლომისკარელი" „ყოვლისშემძლე" ხატი. ეს საქმე მიანდეს კაპიტონ სანიკიძეს, ქიშვარდი გოგიბერიძეს, ალფეუსი ლომინეიშვილს, ვასილ ბარამიძეს და სხვებს. ისინი ერთ უმთვარო ღამეს ეკლესიაში შევიდნენ და ხატი ზემო სურებში წამოასვენეს. ეს ამბავი მთელ რევოლუციურ გურიას მოედო, საქმეში საქართველოს მთელი საეკლესიო საზოგადოება ჩაერია, მაგრამ ხატის გამტაცებელთა კვალს ვერ მიაგნეს. ხალხი ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ ხატი მშრომელი ადამიანების დასაშინებლად, დასაშინებლად იყო მოგონილი, ამან ბევრს აუხილა თვალი.

ამ პერიოდში სურებში სუფსის ხეობაში ხე-ტყის რეწვას ეწეოდა ინგლისელი კონცესიონერი ელიოტ სკოტი, რომელმაც აქაური თავადებიდან ხელსაყრელ ფასად დიდი ხე-ტყე შეიძინა. მდინარე სუფსით მის დაცურებას ასობით მუშახელი სჭირდებოდა. 300-ზე მეტი ადგილობრივი გლეხი იყო ჩაბმული ამ მძიმე შრომაში. ინგლისელი კაპიტალისტის მიერ შეთავაზებულმა კაპიკებმა ვერ დააკმაყოფილა დილიდან გვიან ღამემდე წელში გაწყვეტილი გლეხები და მათ მასობრივი გაფიცვა მოაწყვეს, მოითხოვეს ხელფასის მომატება და 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღება. ამას ზედ დაერთო გურიის გლეხთა შეიარაღებული გამოსვლები. შეშინდა ინგლისელი, მიატოვა დამზადებული თუ დასამზადებელი ხე-ტყე, სხვა ქონებაც და ინგლისში გაიქცა. იგი აღარ დაბრუნებულა, მაგრამ მატოვებული ხე-ტყე სოფლის ბობოლებმა და ტყის მეპატრონეებმა მიითვისეს, გლეხობა ისევ უულუმპაუოოდ დარჩა. მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ მოუტანა მათ თავისუფლება და ნაძალადევ მფლობელობა.

— სამწუხარო ფაქტია, ამ წალკოტიანი სოფელს კაცი გაეყარა?! ბევრი მიდის ქალაქად, უკან არავინ ბრუნდება, — ნაღვლიანად გვიპასუხეს. ვესტუმრეთ სოფელ დიდ ვანს, გავეცანით კოლმეურნეობის საქმიანობას. კაცმა რომ თქვას, ბარის კოლმეურნეობებს არაფრით ჩამორჩებიან აქაური მხვნელ-მთესველები. ასე ითქმის შუა სურების კოლმეურნეობაზეც, ზემო სურების კოლმეურნეობის საქმიანობის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ სოფლის თავკაცები მეურნეობის წინსვლისათვის გონივრულად იყენებენ საჭირო რეზერვებს. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ზემოსურეველმა მეჩაიეებმა ჩაის ფოთლის წლიური დავალება ვადაზე ადრე შესრულეს. გოგუცა სანიკიძემ, შერა კეკელიძემ, მერი სანიკიძემ, ნანული ბიბინეიშვილმა სეზონში თითეულმა 5-6 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა. ისინი არაფერი ჩამორჩებიან ბარელ კოლეგებს.

კარგი შედეგები აქვთ საზოგადოებრივი მეცხოველეობისა თუ მეურნეობის სხვა დარგებშიც.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ბარამძემ, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ კ. სიხარულიძემ, პარტიაროს მდივანმა ა. სანიკიძემ ილაპარაკეს ამ მაღალი მთის სოფლების არსებული დიდი რეზერვების გამოყენების საფიქრალზე.

რა დასამალია, რომ ბევრი რესურსი ჯერ კიდევ ხელუხლებელია — გვეუბნება სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე კ. სიხარულიძე — ეს იმიტომ ხდება, რომ, უწინარეს ყოვლისა, მუშახელი გვაკლია. ახალგაზრდობას სულ ქალაქისაკენ უჭირავს თვალი. კი, ბატონო, სწავლა-განათლებას ვინ უშლის, მაგრამ მერე აქ აღარ ბრუნდებიან. ასეთი ფაქტი ერთი და ორი რომ იყოს, არაფერი, მაგრამ ამან მასობრივი ხასიათი მიიღო. სოფელი ძირითადად მოხუცების ანაბარაა. ხომ ხედავთ, ბევრი სახლიდან კვამლიც კი არ ამოდის.

— 110 ზამთარ-ზაფხულის მომსწრე ვარ, — გვეუბნება სურეველი ნოშრევან ბარამიძე, — შვილშვილები მეწერტრება. მიკვირს, რა თაფლი სცხია ქალაქს ისეთი, რომ ეს ედემის ბაღად ქცეული სოფელი უკანმოუწედავად მიატოვოს კაცმა. თუ იშრომებ, საჭმელ-სასმელი აქ თავზე საყრელი გვაქვს, აქაური ჰაერიც ნამდვილი უკვდავებაა. ერთი შემაჯიბრეთ თქვენი ქალაქელი ჩემი ხნის მოხუცი, ვერაფერში ვერ მაჯობებს — ვერც შრომაში, ვერც სიტყვა-პასუხში, თუმცა, რომელ ქალაქში იპოვი ახლა ჩემი ასაკის ბერიკაცს!

ხანდაზმულებმა გვთხოვეს გაზეთის მემეეობით გავაცხადოთ მათი გულისტკივილი: ამ უღამაზეს კუთხეში იშვა რესპუბლიკის ბევრი სახელოვანი ადამიანი: მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები, საპატიო თანამდებობის პირები. ვამაყობთ კიდეც მათი წარჩინებით, მაგრამ ამ დალოცვილებს რატომ არ ენატრებათ მშობლიური კუთხე, ერთხელ მაინც ინილონ აქაურობა, კარგი სიტყვა გვითხრან, გაგვამხნეონ, ჩვენც დავლოცავთო. თუმცა ბოლოს ისიც დასძინეს: თუ კაცი ხარ გაზეთში ნუ დაწერ, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობს — ცოტათი გულს გეკაკლია ჩვენს ქალიშვილზე — ქალბატონ ნინო რამიშვილზე. უნდა გითხრათ, მას და მის შეუდარებელ ხელოვნებას ცხრა ზღვის გაღმა უკრავენ ტაშს, რა იქნება ერთი კონცერტი მისი მიწა-წყლის ადამიანებისთვისაც გაიმეტოს, ეს ნახვის ნატვრაც არის და საყვედურიც.

გარდაქმნის ექო ამ მაღალმთიან სოფლებშიც შეიჭრა. გადაწყვეტილი აქვთ კიდევ უფრო განავითარონ ძველი ტრადიციული დარგი — მეკარტოფილეობა, მეცხოველეობის აღმავლობისთვისაც აქვთ მტკიცე საფუძველი — მსუყე პალახიანი ალპური საძოვრები, სამხრეთული კულტურების გასამენებლად მათს განკარგულებაშია დღემდე *გამოუყენებელი მიწები. ერთი სიტყვით, კარგი რევოლუციური წარსულის მქონე მთის სოფლებს ყოველგვარი პირობა აქვთ მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განსახორციელებლად.

ერთი საყურადღებო საკითხიც სურების ზონაში ხე-ტყის დიდძალი მარაგია. სულ ადვილი შესაძლებელია, იგი ნაწილობრივ მაინც ადგილზე დამუშავდეს. როგორც ჩოხატაურის რაიონის სახელმწიფო სატყეო მეურნეობისა და საკოლმეურნეო ტყეების ხელმძღველებმა დაგვარწმუნეს, აქ 13 ათასი ჰექტარი უჭირავს სახელმწიფო ტყეებს, ხოლო საკოლმეურნეო ტყეებს — 7800 ჰექტარი. დღე-ღამეში თითქმის ასი კუბური მეტრი ხე-ტყე თავისით ეცემა და ლეპება, კაციშვილი ვერ იყენებს. სათანადო ორგანიზაციებმა სეზონურად უნდა იზრუნოს აქ ხე-ტყის დასამუშავებელი საწარმოს ან ქარხნის მოსაყოფად. ეს ხელს შეუწყობს კიდევ ისეთი დაწესებულებათა შექმნას, რომლებიც გაადარეოებენ სოციალურ-კულტურული ობიექტების მშენებლობას. ეს კი, ასე თუ ისე, პირს აბრუნებინებს მთიდან წამოსულ ახალგაზრდობას.

მაღალმთიანი სოფლების კეთილმოწყობისათვის კარგი ღონისძიებათა გეგმა გაგვაცნო პარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველმა მდივანმა ვახტანგ მახარაძემ. მან უწინარესად ყურადღება გაამახვილა მოსაფალტებული გზის მშენებლობაზე, რომელიც მალე დაიწყება.

ბოლოს და ბოლოს, მიწის ყივილსაც უნდა უგდონ ყური მისმა შვილებმა, მთის ამ სოფლების ყოველი მტკაველი მიწა მამა-პაპათა სისხლით და ოფლით არის მორწყული და მათს საფლავებს არ ეღალატების. კაცმა რომ თქვას, ფლორითა და ფაუნით ამ უმდიდრეს კუთხეში ცხოვრებას რა სჯობს!

Ბ. ᲩᲮᲐᲘᲫᲔ.
„კომუნისტის" საკ. კორ.

ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲓᲦᲔ, ᲮᲕᲐᲚ

ᲩᲮᲝᲕᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲗ

ᲤᲐᲥᲢᲘ ◆ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ◆ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ქვეყნის სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგის შრომითი კოლექტივები სახალხელო წარმატებებით უახლოვდებიან სამეურნეო წლის ფინიშს. ტელეფონით, დეპეშებითა და ტელეტაიპით კორესპონდენტები გვაწვდიან რესპუბლიკის შრომითი მაჯისცემის უახლეს ცნობებს.

ᲮᲣᲗᲛᲬᲚᲔᲓᲘ ᲧᲝᲗᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ

ᲪᲮᲘᲙᲐᲫᲘᲡᲐ ჩაის კომბინატის მშრომელებმა პირველი დეკემბრისათვის დამკვეთებს მიაწოდეს 11 მილიონ 940 ათასი მანეთის პროდუქცია და გადაჭარბებით შეასრულეს ორი წლის გეგმა. ამასთან, ნაწარმის თვითღირებულების შემცირებით 467 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღეს.

▼▼

ᲙᲘᲓᲔᲕᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ

ᲕᲐᲓᲐᲖᲔ ერთი თვით ადრე შეასრულა მიმდინარე წლის საწარმოო პროგრამა საქართველოს საზღვარ სანაოსნოს კოლექტივმა (სანაოსნოს უფროსი ჯ. ჭიღვარია). რეალიზებულია საკაბოტაჟო ტვირთზიდვის, ყველა სახეობის საზღვარგარეთ ნაოსნობის, ნავსადგურებში ტვირთის გადამუშავების, მოგების დავალებანი.

ქართველი მეზღვაურები, ნავსადგურის მუშაკები, გემთშემკეთებლები მიღწეულს არ დასჯერდნენ. მათ ახალი ვალდებულება იკისრეს.

▼▼

ᲛᲗᲘᲗᲒᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲠᲘᲗᲐᲯᲐ ᲗᲘᲗᲘᲠᲐᲛᲘ ᲥᲐᲠᲐᲯᲘᲜᲘᲐ

გამოსაზამთრებელ ადგილებში დასაბინავებად. წითელწყაროსა და სიღნაღის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობათა ასი ათასამდე სული პირუტყვი წითელწყაროში, მაღაროსა და წნორში რკინიგზით გადაიყვანეს, აქედან კი ფარები შორაქის ველისა და ივრის მთიანეთის სადგომებისაკენ დაიძრა. მომზადებული დახვდათ გამოსაზამთრებელი ადგილები მწყემსებს. სარემონტო სამუშაოებზე დროულად უზრუნიათ და ბინებიც მოწესრიგებულია. მეურნეობებმა სურსათითა და საჭირო ინვენტარით მოამარაგეს ისინი. დღეისათვის თითოეულ სულ პირუტყვზე საშუალოდ მომარაგებულია 110 კილოგრამი უხეში საკვები. დიდი რაოდენობით არის დამზადებული კომპოსტი, რომელიც ფერმებსა და ფარეხებთან სპეციალურ ორმოებშია შენახული, ხოლო კომბინირებულ საკვებს დღენიადაგ შემოზიდავენ.

მწყემსები მოუთმენლად ელიან ნამატს და თადარიგს აქედანვე იჭერენ, რათა დოლმა უდანაკარგოდ ჩაიაროს.

▼▼

ᲠᲐᲪ ᲓᲠᲝ ᲒᲐᲓᲘᲡ, ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲑᲐ

ᲛᲔᲒᲝᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲗ

ᲔᲡ იყო სსრ კავშირის სახაგრომრეწვის კვების მრეწველობის სამხატვრო საბჭოს სამუშაო კომისიისა და საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სამხატვრო საბჭოს ერთობლივი წინადადება, რომელიც მიზნად ისახავდა ჩაის პროდუქციის შეფუთვის გაუმჯობესებას.

რეკომენდაციები შემუშავდა ქვეყნის ჩაის საწონი ფაბრიკების პროდუქციის შეფუთვის მრავალი ათეული ნიმუშის განხილვის საფუძველზე, რომელიც თბილისის ჩაის სახლში მოეწყო. მხატვრული გაფორმება, რომელსაც იყენებენ თბილისის, ბაქოს, ოჩამჩირის ჩაის საწონი ფაბრიკები და საწარმოო გაერთიანება „ქართნოდარის მხარის" ფაბრიკა, მეტად ჭრელი და მრავალფეროვანი იყო. ამიტომ გადაწყდა შემუშავდეს შეფუთვის ახალი შესაბამისი გაფორმება.

▼▼

ᲛᲔᲪᲘᲢᲠᲣᲡᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲮᲝᲑᲘᲡ

ᲮᲝᲑᲘᲡ სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობა „ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘᲡᲘ" მშრომელებმა რაიონში პირველმა ვადაზე ადრე შეასრულეს ციტრუსოვანთა კრეფის გეგმა. მათ მოკრიფეს და დამამზადებელ პუნქტს ჩააბარეს 112 ტონა ძანდარინი.

მეციტრუსეებმა გადაწყვიტეს წლეულს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიჰყიდონ 400 ტონა ციტრუსები.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ"

ᲮᲝᲠᲪᲛᲔᲢᲔᲑᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲭᲐᲭᲐᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" 5 სექტემბერს გამოქვეყნებული წერილის „ბრძოლა თუ „სრული მოსპობა" ავტორი გაზეთის რედაქტორს უსვამს კითხვას: „პატიოსანმა რედაქტორო! გიფიქრიათ თუ არა როდისმე იმაზე, რომ არ მიიღოთ და არ განიხილოთ ე. წ. „ანონიმკა". არ ვიცი, რედაქტორი როგორ უპასუხებს, ეს მისი საქმეა, მე კი, ამ სტატიების ავტორმა, შემიძლია დასმული კითხვას დადებითი პასუხი გავცე.

ერთ დროს (1954-1955 წ. წ.), როცა ქუთაისის პარტიული რაგანიზაციის ხელმძღვანელი ვიყავი, დავინტერესდი ამ პრობლემის გადაჭრით. გავაფრთხილი სათანადო განყოფილება — აღრიცხვაზე არ აეყვანათ ხელმოუწერელი წერილები. მაშინ ბინაზე მომაყარეს უამრავი ანონიმური წერილები წარწერით: „ალბათ თქვენამდე ვერ აღწევს ჩვენი წერილები, რის გამოც იძულებული ვხდებით ბინაზე შეგაწუხოთო". როცა საქალაქო პარტიული აქტივის კრებაზე საჯაროდ განვაცხადე, ანონიმურ წერილებს არ განვიხილავთ, როგორი ხასიათისაც უნდა იყოს ისინი, ხოლო, თუ ავტორის ვინაობას დავადგენთ, კანონის მთელი სისასტიკით დავსჯით, თანაც საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები გავაფრთხილეთ ანალოგიურად მოქცეულიყვნენ, — ანონიმთმთხზველი ბინა თარეში შენელდა, შემდეგ სულ შეწყდა. სამაგიეროდ იმძლავრა ბოლშევიკურმა პირდაპირობამ, პრინციპულმა, გულწრფელმა ბამოსვლებმა.

ვეთანხმები აზრის ანონიმთმთხზველობის მოსპობისათვის საჭიროა მხოლოდ ერთი რამ: აღარავინ განიხილოს ანონიმური წერილი.

„კომუნისტის" მკითხველებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, მინდა მოვაგონო, რომ ანონიმთმთხზველთა ბინძურ ენამს მარტო ჩვენს რესპუბლიკაში ათასობით პატიოსანი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა ოცდაათიან წლებში. მაშინ მაბეზღარებს სამართლიანად უწოდებდნენ ხალხის მტრებს. მე თუ მკითხავთ, ამ კატეგორიის ადამიანებს დღესაც უყოყმანოდ ასეთსავე დამღას დავუსვამდი.

ნანატრი დრო დაგვიდგა. ჩვენი პარტია მტკიცედ დაადგა ცხოვრების ყველა სფეროს რეკოლუციური გარდაქმნის ერთადერთ სწორ გზას. საჯაროობისა და დემოკრატიზმის განვითარების ფართო ასპარეზი შეგვექმნა. ამიტომ ანონიმური წერილების მოყვარულთა წინაალმდეგ მწეავე, უკომპრომისო, გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ. ბოლომდე ამოვძირკვოთ ასეთი მავნე ელემენტები. იოლიც არ გახლავთ ეს ბრძოლა. ამ ბოროტმოქმედთ შენიღბული მფარველებიც ჰყავთ. ზოგს ხელს აძლევს ასეთი მავნე პრაქტიკა. ამიტომ ყოველგვარ უსახელო წერილზე კატეგორიული უარი უნდა ვთქვათ. ახლა საჭიროა ერთობლივი ძალისხმევა, რათა ეს დაწყებული კეთილშობილური საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. უნდა მივაღწიოთ ისეთ ვითარებას, რომ სოციალურად ეს მეტად საშიში ხროცმეტები აღარ ჭაჭანებდნენ ჩვენს თავისუფალ საზოგადოებაში.

ᲑᲠ. ᲠᲣᲡᲐᲫᲔ,
პარტიის, ომის, შრომისა და კომკავშირის ვეტერანი.
ქ. ქუთაისი.

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ

ᲩᲔᲛᲘ აზრით, დღეს მიზანშეუწონელია ანონიმური წერილების წერა. მაგრამ თუ ასეთი მაინც დაიწერა, იმის გამო, რომ ავტორს შურისძიებისა ეშინია (ცხოვრებაში ყოფილა ასეთი შემთხვევები) და ამიტომ არ ამხელს თავის ვინაობას, სათანადო ორგანოები მოვალენი არიან შეამოწმონ ამ წერილში აღნიშნული ნეგატიური ფაქტები და მიიღონ სათანადო ზომები. პრესა, პროკურატურა, შინაგან საქმეთა ორგანოები, პარტიული ორგანოები კომპეტენტურნი არიან, გაარკვიონ ანონიმური წერილების დამწერნიც და წერილში აღნიშნული გარემოებანიც. თუ აღმოჩნდება, რომ ანონიმური წერილის დამწერი უსაფუძვლოდ სდებს ვინმეს ბრალს, პასუხისგებაში უნდა მიეცეს ცილისწამებისათვის, მაგრამ, თუ დადასტურდება, უნდა მიიღონ სათანადო ზომები დამნაშავე პირთა დასასჯელად. არაერთი შემთხვევა ყოფილა, რომ ანონიმურ წერილში მოყვანილი ფაქტი დადასტურებულა და დამნაშავულ სჩადის, რადგან დამნაშავე თანამდებობის პირი ყველაფერს იღონებს თავის გადასარჩენად და „დამბეზღებელს" დასაჩაგრად, ცხობილია, რომ რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთი საბჭოთა დაწესებულების ხელმძღვანელი დიდძალ თანხებს ითვისებდა, და, როცა ამ დაწესებულების მთავარმა ბუღალტერმა ამხილა, ამ ხელმძღვანელმა დაიჭირავა 4 კაცი, გადაუხადა მათ 12.000 მანეთი და მოაკვლევინა „ბეზღია". სამოლოდ ამ დაწესებულების ხელმძღვანელს და მკვლელებს დაბეჭდა მიუსაჯეს და განაჩენიც აღასრულეს.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მიხედვით, თუ არ დამტკიცდა ანონიმურ წერილში აღნიშნული ბინძური ლაქა, მისი დამწერი ცილისწამებისათვის ისჯება 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

Გ. ᲫᲘᲚᲘᲤᲗᲐᲠᲘ.
პენსიონერი.

ᲣᲜᲓᲐ ᲐᲘᲙᲠᲫᲐᲚᲝᲡ

**„Კ

საბჭოთა მართლმსაჯულება 70 წლისაა

სასამართლო შესახებ პირველი დეკრეტი უკავშირდება ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელს. იგი რევოლუციის ბელადის ხელმოწერით სამოცდათი წლის წინათ გამოქვეყნდა. დეკრეტის ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მან გააუქმა ბურჟუაზიულ-მემამულეური სასამართლოების ჩინოვნიკური აპარატი და შექმნა ჰეშმარიტად სახალხო სასამართლოები, რომელთა საქმიანობას საფუძვლად დაედო საკაცობრიო იურიდიული კულტურის მიღწევები და მართლმსაჯულების ახალი, სოციალისტური პრინციპები: მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოების მიერ და კანონის შესაბამისად, მოსამართლეთა არჩევითობა, ბრალდებულისთვის დაცვის უფლების უზრუნველყოფა, სჯაროობა, სახალხო მსაჯულების მონაწილეობა საქმეთა განხილვაში და სხვა.

ახალი სასამართლო სისტემის საათავეები უკავშირდება ცნობილი სამართალმცოდნეობისა და სახელმწიფო მოღვაწეების პეტრე სტუჩკას, დიმიტრი კურსკის, ნიკოლოზ კრილენკოს და სხვა ბოლშევიკ-ლენინელთა სახელებთან, რომლებმაც მთელი თავიანთი ნიჭი და ენერგია მოახმარეს საბჭოთა სასამართლოს, სოციალისტური სამართლის, საბჭოთა მართლმსაჯულების პრინციპების ფორმირების და დაწერგვის საქმეს.

კლასობრივ მტრებთან, კონტრრევოლუციასა და უცხოურ ინტერვენციასთან ბრძოლის პერიოდში იხვეწებოდა საბჭოთა სასამართლოს იარაღი — სოციალისტური სამართალი. ბურჟუაზიული სამართლის ანოლოგეტთა პროგნოზების საპირისპიროდ, რომლებიც სბჭოთა რუსეთს „სამართლებრივი ნიჰილიზმის“ ქვეყნად ნათლავდნენ, პირველმა საბჭოთა დაირღვა. ქვეყანაში ფორმირებული იდეოლოგიური-მბრძანებლური სისტემის გაძლიერებამ სავალალო ზეგავლენა მოახდინა მართლმსაჯულების ლენინური პრინციპების გატარებაზე.

საბჭოთა სამართლის ისტორიას ჯერ სათანადოდ არ გაუანალიზებია იმ დროის იურიდიული მექანიზმი — სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების და სასამართლო განხილვის გაუფასურება, განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა განხილვა არასასამართლო წესით, სოციალისტური მართლმსაჯულების პრინციპებისათვის მიუღებელი სხვადასხვა კომისიები, მტკიცებულებათა შეკრების და შეფასების დაუშვებელი მეთოდები, ვიშინსკის მტკიცებულებათა თეორიები და სხვა; აღნიშნულ პერიოდში მიმდინარე პროცესების ღრმა პოლიტიკურ ახსნას იძლევა ამხ. მ. ს. გორბაჩოვი, რაც თანამედროვე პირობებში დიდ მნიშვნელობას იძენს სოციალიზმის ლენინური იდეალის დასამკვიდრებლად.

სამამულო ომის მძიმე წლებმა, როცა ქვეყანა ერთ მეომარ ბანაკად იქცა, განსაკუთრებული მოთხოვნები დააყენა ქვეყანაში ორგანიზებულობის, დისციპლინის განმტკიცების თვალსაზრისით. სამხედრო ტრიბუნალები ფრონტზე და სახალხო სასამართლოები ზურგში ომის პერიოდის კანონების განუხრელ დაცვას მოითხოვდნენ. მართლმსაჯულების ბეგრმა მუშაკმა ფრონტს მიაშურა, სახალხო სასამართლოების მრავალი მუშაკი, რომელთა დიდ წაწილს ქალები შეადგენდნენ, პირნათლად იხდიდა თავიანთ მოქალაქეობრივ და პროფესიულ ვალს.

საქართველოს სსრ სასამართლო სისტემა მოკრძალებით იხსენიებს ომში დაღუპული მოსამართლეების სახელებს. დიდი სამამულო ომიდან დაბრუნებული მრავალი ჩვენი თანამემამულე საერი ვადების ზუსტი დაცვით განიხილეს ქ. თბილისის ორჯონიკიძის და საქარხნო რაიონების, ქ. მარნეულის, ტყიბულის, ამბროლაურის, ბორჯომის, გურჯაანის, ლმბინისის, ცცხეთის რაიონების სახალხო სასამართლოებმა.

მაგრამ აღნიშნული როდი იძლევა თვითდამშვიდების საფუძველს. დასამალი არ არის, რომ სასამართლოების საქმიანობაში თავი იჩინა ანომალურმა გამოვლინებებმა, რაც ამახინჯებს სოციალისტური სამართლიანობის პრინციპებს, არყევს ხალხში სამართლიანობის რწმენას.

განსაკუთრებით აღმაშფოთებელია, როცა სახალხო სასამართლოებში არღვევენ სოციალისტურ კანონიერებას, ჯეროვნად არ აფასებენ წინასწარი გამოძიების მასალებს, ლახავენ მოქალაქეთა უფლებებს და სხვა. სოციალისტური კანონიერების ამგვარი დარღვევები იყო აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოში, ქ. თბილისის სასამართლოში, რომლებსაც მკაცრი შეფასებები მისცეს პარტიულმა და სამართალდაცვითმა ორგანოებმა. იშვიათი როდია სამოქალაქო საქმეების გამო კანონშეუსაბამო გადაწყვეტილებების გამოტანის შემთხვევები, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მოქალაქეთა სამინაო, შრომით და სხვა ქონებრივ თუ არაქონებრივ უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, აფერხებს ადამიანთა ყოფაში სოციალური სამართლიანობის განუხრელ დამკვიდრებას.

არასაბარბიელო სურათია რესპუბლიკის ზოგიერთი სასამართლოებში საქმეთა განხილვის ოპერატიულობის თვალსაზრისითაც. ჯერ კიდევ ხშირია პროცესუალური კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევები. განსაკუთრებით მიუტევებელია, როცა ზემოთ აღნიშნული ხასიათის დარღვევები გამოწვეულია სახალხო სასამართლოების მუშაკებს დაუდევრობითა და გულგრილობით. გასულ საარჩევნო პერიოდში ამგვარი ხასიათის დარღვევებისაკენ სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან ვადაზე ადრე განთავისუფლდა 23 მოსამართლე.

მართლმსაჯულების აღმზრდელობითი ზემოქმედება, როგორც იტყვიან, სასამართლოს შენობებიდან იწყება. სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეებს დიდი მუშაობა მართებთ ამ დაწესებულებებში ადამიანებისადმი ღირსეული დამოკიდებულების შესაქმნელად, რითაც უნდა გამოიხატებოდეს ეს — სასამართლო პროცესების კულტურა იქნება ეს, შედგენილი დოკუმენტების წოგნიერება თუ სასამართლო პროცესების ჩატარების, ტექნიკური პერსონალის ოპერატიულობა. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს განსაკუთრებით გაამახვილოს ყურადღება ამ პრობლემებზე და გაზარდოს მომთხოვნელობა სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეებისადმი.

მიმდინარე წელს მოწყობილმა სახალხო მოსამართლეთა არჩევნებმა მნიშვნელოვანწილად შეცვალა მოსამართლეთა შემადგენლობა; რესპუბლიკის 184 მოსამართლიდან 60 ამ საპატიო თანამდებობაზე პირველად იქნა არჩეული.

შრავალეროვნულია საქართველოს სსრ სახალხო მოსამართლეთა შემადგენლობა. მართლმსაჯულების საქმეს რესპუბლიკაში ქართველი, აფხაზი, ოსი იურისტების გარდა, ემსახურებიან რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ქურთი, ბერძენი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

წელს სახალხო მსაჯულთა მეტად საპატიო მისია დაეკისრა რესპუბლიკის 13.000-ზე მეტ მოქალაქეს. უკანასკნელ პერიოდში განმტკიცდა სახალხო მსაჯულთა სამართლებრივი სტატუსი, გაიზარდა მათდამი წაყენებული მოთხოვნები. მსაჯულების მონაწილეობა სასამართლო პროცესებში ხშირად ჯეროვანი აქტიურობით არ გამოირჩევა. იუსტიციის სამინისტრო მოწოდებულია სახალხო მსაჯულთა საბჭოებთან მუშაობით, მათი კვალიფიკაციის ამაღლებით სრულყოს სახალხო მსაჯულთა მონაწილეობის ხარისხი სისხლის და სამოქალაქო საქმეთა განხილვაში.

სასამართლოების მუშაობის გარდაქმნის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად კადრების პროფესიული ოსტატობის ამაღლებისა და მათი ზნეობრივი სიწმინდისათვის ზრუნვა გვესახება. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როიდან უფასურდება მართლმსაჯულების ავტორიტეტი, როცა მოსამართლის თანამდებობაზე შემთხვევითი ადამიანია. ამიტომ იხვეწება კადრებთან მუშაობის ფორმები და მეთოდები, სათანადო ინდივიდუალური მუშაობა წარმოებს ახლად არჩეულ მოსამართლეებთან; საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან ერთად პერიოდულად იმართება თათბირ-სემინარები, მოსამართლეთა მთელი შემადგენლობა რეგულარულად პროფესიულ დონეს ხვეწს სამინისტროსთან არსებულ კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე. წლის საუკეთესო მოსამართლისათვის დაწესებულია ილია ჭავჭავაძის სახელობის სიგელი. აუცილებელია პროფესიულ და ზნეობრივ ნორმად იქცეს მართლმსაჯულების ყველა მუშაკისათვის დიდი ილიას სიტყვები: „მოსამართლეს გააჩნიოს გონება უნდა ჰქონდეს, პატიოსანი ხასიათი და უჩირქო ყოფაცხოვრება“.

ვ. შარაშენიძე,
საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი.

სიკეთის ანგარიში — ახე შეიძლება ეწოდოს № 707 სიბანკო ანგარიშს, რომელშიც ირიცხება ხახრები ამას წინათ შექმნილი საბჭოთა კავშირის ხაბავშვო ფონდისათვის. ერთი თვის წინათ მოსკოვში გაიმართა მიხი დამფუძნებელი კონფერენცია. საყოველთაოსახალხო განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა წესდება, შეიქმნა გამგეობა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა ჩვენი რესპუბლიკის დელეგაცია. საბჭოთა კავშირის საბავშვო ფონდის გამგეობაში აირჩიეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, პოეტი ხუტა ბერულავა. რესპუბლიკის საბავშვო ფონდის დამფუძნებელი კონფერენციისათვის მომზადების შესახებ მას ეხუბრება საქინფორმის კორესპონდენტი.

სიკეთე სიკეთითვე დაგიბრუნდებათ

— როგორც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს საბავშვო ფონდის საორგანიზაციო კომიტეტი უკვე მუშაობს, კონფერენცია, რომელიც იანვარში გაიმართება, გამგეობის შემადგენლობას განსაზღვრავს. ამ ორგანიზაციას ექნება თავისი შენობა და აპარატი?

— თბილისის საქალაქო აღმასკომი უკვე ეძებს შესაფერის შენობას, სადაც მოთავსდება ადმინისტრაციული აპარატი, აგრეთვე რამდენიმე ახლად შექმნილი წარმოება და დაწესებულება, რომლებიც გამგეობის ხელმძღვანელობით იმუშავებენ. გათვალისწინებულია, რომ აფხაზეთში, აჭარასა და სამხრეთ ოსეთშიც გაიხსნას ფონდის განყოფილებები.

— რა წყაროებით აუნაზღაურდებათ შრომა საქართველოს ფონდის მუშაკებსა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების აპარატს?

— მე აქ მინდა შეგახსენოთ ჩემი კოლეგისა და მეგობრის, საკავშირო ფონდის გამგეობის თავმჯდომარის ალბერტ ლიხანოვის სიტყვები, რომლებიც ფიცივით გაისმა საბჭოს სახლის სეტყვიან დარბაზში: № 707 ანგარიშზე გადმორიცხული არც, ერთი კაპიკი არ მოხმარდება ადმინისტრაციის შენახვას. ფონდის გამოცემები, მათ შორის ყოველკვირეული გაზეთი „ოჯახი“, მოგვცემენ აუცილებელ მატერიალურ უზრუნველყოფას.

— სახსრების შეგროვება ნახევარი საქმეა, მთავარია მათი გამოყენება. საბავშვო ფონდის პირველი ნაბიჯი პრესამ უკვე ამცნო საზოგადოებრიობას. დახმარება ბავშვთა სახლებს იქ გაეგზავნა, სადაც სამ წლამდე ბავშვები ცხოვრობენ.

— ყველაზე პატარა, ყველაზე უმწეო ბავშვები... 420 ბავშვთა სახლში სახელმწიფოს კმაყოფაზეა 36 ათასი პატარა. აქ დიდი ჯგუფებია, თითოეულ აღმზრდელზე ოცი, ზოგჯერ მეტი ბავშვიც კი მოდის. ძნელია როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად ყველას თანაბრად უწილადო ზრუნვა, ალერსი, სითბო. ფონდის პირველი გადაწყვეტილების თანახმად იგი აღმზრდელთა 1.777 დამატებითს საშტატო ერთეულს დაადგენინებს, ჯგუფებში გაერთიანებული ბავშვების რიცხვი ერთიორად შემცირდება. ამგვარ ღონისძიებებს სახელმწიფოც ითვალისწინებს, მაგრამ მათი განხორციელება მხოლოდ მომდევნო ხუთწლედშია დაგეგმილი. ამ მიზნით ფონდი ყოველწლიურად გამოყოფს 2 მილიონ 950 ათას მანეთს. შეიძლებოდა გვეთქვა სამ მილიონ მანეთამდეო, მაგრამ გთხოვთ ეს ციფრი არ დაამრგვალოთ, რადგან აქ ყოველ კაპიკს მართლაცდა დიდი ფასი აქვს — მატერიალური და სულიერი.

— პრესა იტყობინებოდა, რომ ფონდის ანგარიშზე გადმოირიცხა ვალუტა...

— იმდენი ქვეყნიდან გადმორიცხეს, რომ ჩამოთვლაც კი ძნელია: ავსტრია, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, შვეიცარია, ნორვეგია, პოლონეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ესპანეთი. საზღვარგარეთის საზოგადოებრიობის რეაქციით თუ ვიმსჯელებთ, ყველა საფუძველი გვაქვს მოველოდეთ, რომ საქართველოს საბავშვო ფონდსაც გადმოურიცხავენ ვალუტას.

— ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ალბერტ ლიხანოვმა აღმაშფოთებელი ციფრი მოიყვანა. ამ სახსრების დაახლოებით მეხუთედი, რომლებსაც სახელმწიფო ბავშვთა სახლებს აძლევს, ანგარიშს ეწერება მსხვერპლად. რის გაკეთება შეუძლია ამასთან დაკავშირებით ფონდს?

— სპეციალისტების, ადმინისტრაციული ორგანოების ხელშეწყობით ჩვენ ვემზადებით ბავშვთა სახლების, სკოლა-ინტერნატების, სკოლამდელი აღზრდის და ბავშვთა სამედიცინო დაწესებულებების მუშაობის შესამოწმებლად. შემოწმების დროს გამოვიჩენთ უაღრეს მომთხოვნელობას, განუხრელად ვისარგებლებთ უფლებებით, რომლებიც ფონდის წესდებით მოგვენიჭა. პირადად მე ბოროტმოქმედებას, რომელიც ბავშვების ინტერესებს შელახავს, ყველაზე აღმაშფოთებელ ანტისაზოგადოებრივ მოვლენად ვთვლი. იმედი მაქვს, ჩვენი აქციები სტიმულს მისცემს ადამიანებს ამ ბოროტმოქმედებასთან საბრძოლველად. ასეთი მხარდაჭერა ფულად შემოწირულობებზე ნაკლებ მნიშვნელოვანი როდია. მინდა შევნიშნო, რომ ამასთან ერთად საჭიროა გააქტიურდეს საქველმოქმედო მუშაობა ფონდის სასარგებლოდ. რესპუბლიკური დამფუძნებელი კონფერენციის წინ საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალსა და ქუთაისში მოეწყობა სალამოები, რომლებზეც ხელოვნების ოსტატები გამოვლენ. კონცერტების შემოსავალი მთლიანად საბავშვო ფონდში გადაირიცხება. ვფიქრობ, ეს მხოლოდ დასაწყისია. ჩვენ ცნობილი მუსიკოსები, მსახიობები, მწერლები, მხატვრები აუცილებლად ა რ მოაკლებენ საბავშვო ფონდს.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ სახალხო საქმეს გულთან ახლოს მიიტანენ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები.

— მინდა გკითხოთ პირადად თქვენ, ბატონო ხუტა [illegible] საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანს, ბევრი პასუხსაგები მოვალეობა გაკისრიათ. ხელს ხომ არ შეუშლის თქვენს შემოქმედებითს მუშაობას კიდევ ერთ, თანაც ეხოდენ ვრცელ სფეროში მოღვაწეობა?

— ბავშვებისათვის ზრუნვა როგორ დამღლის. ჩემთვის ეს ბედნიერება და მოვალეობაა. საქართველოში ბავშვი მუდამ სათაყვანო კერპი იყო და ჩვენი სულდიდი ხალხი არც ახლა დაიშურებს ზრუნვასა და ყურადღებას ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის.

— დაგვახსომდა ფრაზა ერთ-ერთი ცენტრალური გაზეთის პუბლიკაციიდან: „საშუალო ქართული ოჯახი ჯერ კიდევ უფრთხილდება ძველმოდური სათუთ დამოკიდებულებას შვილებისადმი“. ამ ფრაზაში, ჩემი აზრით, მოწონებას ერთგვარი შურიც კი ურევია კეთილშობილური ტრადიციისადმი. ამ ტრადიციას კი გაჭრობა არ უწერია...

— და იგი ყველა ბავშვზე უნდა ვრცელდებოდეს. ნება მიბოძეთ, ჩვენი საუბარი დავამთავრო ასეთი მიმართვით ყველასადმი: ძვირფასო მეგობრებო! თქვენი გულის სითბო და ბრძნული მშობლიური ზრუნვა სჭირდება თქვენი შვილებისა და შვილიშვილების თანაკერულს. სიკეთე სიკეთითვე დაგიბრუნდებათ, დარწმუნებული ვარ, ყველა, ვინც დახმარების ხელს გაუწვდის უდედმამოდ დარჩენილ ან გასაჭირში მყოფ ბავშვებს, ამით საკუთარი შვილების ბედნიერების გზას გაკვალავს.

სოციალური სამართლიანობის გზით

კონსტიტუციამ და სხვა ნორმატიულმა აქტებმა სისხლისა და სამოქალაქო საქმეთა სამართალწარმოება მყარ იურიდიულ საძირკველზე აყგო.

საბჭოთა კავშირის შექმნამ, საბჭოთა კავშირის პირველმა კონსტიტუციამ თვისებრივი გავლენა მოახდინა მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო სისტემის განვითარებაზე.

ახალ სასამართლო სისტემაში ჯეროვნად აისახა სოციალიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი — ლენინური ეროვნული პოლიტიკა. მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოები დაკომპლექტდა ეროვნული კადრებით, ურყევ წესად იქცა მართლმსაჯულების განხორციელება ეროვნულ ენაზე.

ეროვნული ელემენტების უგულებელყოფა მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში მუდამ იწვევდა მოწონავე რუსი ინტელიგენციის და მეფის რუსეთის მიერ კოლონიზებული ერების პროგრესულ მოღვაწეთა სამართლიან გულისწყრომას. ქართველი სამოციანელები სასამართლოებიდან ქართული ენის განდევნას, ჩინოვნიკური სასამართლოების მიერ ქართული ზნე-ჩვეულებების გაუთვალისწინებლობის სოციალურ, უსამართლობის გამოვლინებად, ეროვნული ჩაგვრის ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევდნენ. ილია ჭავჭავაძე, თვითონ მოსამართლე და შესანიშნავი სამართალმცოდნე, წერდა: „დღეს ძმორგებელი მოსამართლე უმეტესად ჩვენთვის სრულიად უცხო კაცია, ხშირად არამცოუ ჩვენის ყოფა-ცხოვრების მეცოდნე, არამედ ჩვენის ხალხის ენის უცოდინარიც არის, და მოდით, ამისთანა კაცს დაავალეთ, რომ ჩვენი ხალხის ჩვეულება ზედმიწევნით იკოდეს და საქმეში გამოიყენოს. ტყუილი დავალება იქნება“.

1921 წლის 22 მარტი საგულისხმო თარიღია საქართველოს მართლმსაჯულების ისტორიაში. ამ დღეს სპეციალური დეკრეტით საქართველოს სსრ რევოლუციურმა კომიტეტმა გააუქმა ბურჟუაზიული სენატი და სასამართლოები და ახალი სახალხო სასამართლოების სისტემას დაუდო საფუძველი საქართველოში. ამ სისტემას საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატი ხელმძღვანელობდა.

ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის ხუთწლედებში საბჭოთა მართლმსაჯულებამ დიდი წვლილი შეიტანა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების, სოციალისტური კანონიერების, შრომის დისციპლინის, მოქალაქეთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. სწორედ ამ პერიოდში ასპარეზზე გამოდიან ამხანაგური სასამართლოები, რომლებიც მართლწესრიგის განმტკიცების ღონისძიებებში ფართო საზოგადოებრიობას აბამენ.

მაგრამ 30-იანი წლების მეორე ნახევარში სოციალისტური კანონიერების განმტკიცების პროცესი ხალხო მოსამართლეთა რიგებში ჩადგა, მთელ ცოდნასა და დიდ ცხოვრებისეულ გამოცდილებას ენერგიულად ახმარს საბჭოთა მართლმსაჯულების კეთილშობილ საქმეს. თვისებრივად განვითარდა საბჭოთა სასამართლო სისტემა და მართლმსაჯულება ომისშემდგომ წლებში.

თანამედროვე პერიოდში საბჭოთა ხალხი ცხოვრობს და იღვწის სკკ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის, ეს ყრილობა შემობრუნების პერიოდს აღნიშნავს ჩვენი სახელმწიფოს ისტორიაში. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების გარდაქმნა, განვითარების დაჩქარება, დემოკრატიის გაღრმავება წარმოუდგენელია სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის, მოქალაქეთა უფლებების სანდო დაცვის, სოციალური სამართლიანობის პრინციპების განხორციელების გარეშე. ამ დიად პრინციპებს ემსახურება სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სოციალისტური კანონიერების და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ“.

ისევე როგორც ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, მართლმსაჯულებაში გარდაქმნა სპეციფიკურობით ხასიათდება. სასამართლო და იუსტიციის ორგანოები ცნობილი არიან თავიანთი ტრადიციულობით. დემოკრატიზმი და საჯაროობა კი საბჭოთა მართლმსაჯულების ორგანული თვისებებია. ამიტომ გარდაქმნა მარტოოდენ მოქალაქეთა პროცესუალური თუ სხვა უფლებების და მათი დაცვის გარანტიების მორიგი სრულყოფა როდია. თუმცა არც უამისობაა — უკანასკნელი წლების მანძილზე საბჭოთა პროცესუალურ და სხვა კანონმდებლობებში მრავალი მეტად საგულისხმო ცვლილებაა შეტანილი და მომავალში კიდევ უფრო არსებითი ხასიათის ცვლილებებია მოსალოდნელი საბჭოთა სისტემის, სამოქალაქო, საპროცესო კანონმდებლობის ფუძემდებლურ დებულებებში.

დაწერილებით არ შევეხებით იმ მნიშვნელობას, რომელიც ახალი მოთხოვნების ფონზე ენიჭება სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების ხარისხიანობას, აქ ხომ არსებითად საქმე ეხება ათასობით ადამიანის ბედს, მათ მოქალაქეობრივ, შრომით, საბინაო უფლებებს და სასიცოცხლო ინტერესებს. იმათ რიცხვში, ვინც მომდინარე წლის მონაცემების მიხედვით დაკისრებულ ამოცანებს წარმატებით წყვეტს და ზემდგომი სასამართლოების მიერ განაჩენები და გადაწყვეტილებები არ გაუქმებია, შეგვიძლია დავასახელოთ რუსთავის, ტყიბულის, აბაშის, გეგეჭკორის, ცხაკაიას, ცაგერის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, დმანისის რაიონების სახალხო სასამართლოები.

მიმდინარე წელს სასამართლო საქმეები განსაკუთრებული ოპერატიულობით, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცესუალური ვადების ზუსტი დაცვით განიხილეს ქ. თბილისის ორჯონიკიძის და საქარხნო რაიონების, ქ. მარნეულის, ტყიბულის, ამბროლაურის, ბორჯომის, გურჯაანის, ლმბინისის, ცცხეთის რაიონების სახალხო სასამართლოებმა.

მაგრამ აღნიშნული როდი იძლევა თვითდამშვიდების საფუძველს. დასამალი არ არის, რომ სასამართლოების საქმიანობაში თავი იჩინა ანომალურმა გამოვლინებებმა, რაც ამახინჯებს სოციალისტური სამართლიანობის პრინციპებს, არყევს ხალხში სამართლიანობის რწმენას.

განსაკუთრებით აღმაშფოთებელია, როცა სახალხო სასამართლოებში არღვევენ სოციალისტურ კანონიერებას, ჯეროვნად არ აფასებენ წინასწარი გამოძიების მასალებს, ლახავენ მოქალაქეთა უფლებებს და სხვა. სოციალისტური კანონიერების ამგვარი დარღვევები იყო აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოში, ქ. თბილისის სასამართლოში, რომლებსაც მკაცრი შეფასებები მისცეს პარტიულმა და სამართალდაცვითმა ორგანოებმა. იშვიათი როდია სამოქალაქო საქმეების გამო კანონშეუსაბამო გადაწყვეტილებების გამოტანის შემთხვევები, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მოქალაქეთა სამინაო, შრომით და სხვა ქონებრივ თუ არაქონებრივ უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, აფერხებს ადამიანთა ყოფაში სოციალური სამართლიანობის განუხრელ დამკვიდრებას.

არასაბარბიელო სურათია რესპუბლიკის ზოგიერთი სასამართლოებში საქმეთა განხილვის ოპერატიულობის თვალსაზრისითაც. ჯერ კიდევ ხშირია პროცესუალური კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევები. განსაკუთრებით მიუტევებელია, როცა ზემოთ აღნიშნული ხასიათის დარღვევები გამოწვეულია სახალხო სასამართლოების მუშაკებს დაუდევრობითა და გულგრილობით. გასულ საარჩევნო პერიოდში ამგვარი ხასიათის დარღვევებისაკენ სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან ვადაზე ადრე განთავისუფლდა 23 მოსამართლე.

მართლმსაჯულების აღმზრდელობითი ზემოქმედება, როგორც იტყვიან, სასამართლოს შენობებიდან იწყება. სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეებს დიდი მუშაობა მართებთ ამ დაწესებულებებში ადამიანებისადმი ღირსეული დამოკიდებულების შესაქმნელად, რითაც უნდა გამოიხატებოდეს ეს — სასამართლო პროცესების კულტურა იქნება ეს, შედგენილი დოკუმენტების წოგნიერება თუ სასამართლო პროცესების ჩატარების, ტექნიკური პერსონალის ოპერატიულობა. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს განსაკუთრებით გაამახვილოს ყურადღება ამ პრობლემებზე და გაზარდოს მომთხოვნელობა სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეებისადმი.

მიმდინარე წელს მოწყობილმა სახალხო მოსამართლეთა არჩევნებმა მნიშვნელოვანწილად შეცვალა მოსამართლეთა შემადგენლობა; რესპუბლიკის 184 მოსამართლიდან 60 ამ საპატიო თანამდებობაზე პირველად იქნა არჩეული.

შრავალეროვნულია საქართველოს სსრ სახალხო მოსამართლეთა შემადგენლობა. მართლმსაჯულების საქმეს რესპუბლიკაში ქართველი, აფხაზი, ოსი იურისტების გარდა, ემსახურებიან რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ქურთი, ბერძენი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

წელს სახალხო მსაჯულთა მეტად საპატიო მისია დაეკისრა რესპუბლიკის 13.000-ზე მეტ მოქალაქეს. უკანასკნელ პერიოდში განმტკიცდა სახალხო მსაჯულთა სამართლებრივი სტატუსი, გაიზარდა მათდამი წაყენებული მოთხოვნები. მსაჯულების მონაწილეობა სასამართლო პროცესებში ხშირად ჯეროვანი აქტიურობით არ გამოირჩევა. იუსტიციის სამინისტრო მოწოდებულია სახალხო მსაჯულთა საბჭოებთან მუშაობით, მათი კვალიფიკაციის ამაღლებით სრულყოს სახალხო მსაჯულთა მონაწილეობის ხარისხი სისხლის და სამოქალაქო საქმეთა განხილვაში.

სასამართლოების მუშაობის გარდაქმნის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად კადრების პროფესიული ოსტატობის ამაღლებისა და მათი ზნეობრივი სიწმინდისათვის ზრუნვა გვესახება. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როიდან უფასურდება მართლმსაჯულების ავტორიტეტი, როცა მოსამართლის თანამდებობაზე შემთხვევითი ადამიანია. ამიტომ იხვეწება კადრებთან მუშაობის ფორმები და მეთოდები, სათანადო ინდივიდუალური მუშაობა წარმოებს ახლად არჩეულ მოსამართლეებთან; საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან ერთად პერიოდულად იმართება თათბირ-სემინარები, მოსამართლეთა მთელი შემადგენლობა რეგულარულად პროფესიულ დონეს ხვეწს სამინისტროსთან არსებულ კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე. წლის საუკეთესო მოსამართლისათვის დაწესებულია ილია ჭავჭავაძის სახელობის სიგელი. აუცილებელია პროფესიულ და ზნეობრივ ნორმად იქცეს მართლმსაჯულების ყველა მუშაკისათვის დიდი ილიას სიტყვები: „მოსამართლეს გააჩნიოს გონება უნდა ჰქონდეს, პატიოსანი ხასიათი და უჩირქო ყოფაცხოვრება“.

ვ. შარაშენიძე,
საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი.

კონტაქტები, თანამშრომლობა

კლარენს კუპერი: „ვახაროთ მშვიდობის ხე“

„მშვიდობის ხის“ პროექტი, რომელიც ფესვებს გაიდგამს ერთდროულად საბჭოთა და ამერიკის მიწა-წყალზე, ჩამოუტანა თბილისელ მოსწავლეებს ატლანტელმა მოსამართლემ კლარენს კუპერმა. იგი მეთაურობს საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ფრენდშიპ ფორსის“ („მეგობრობის ძალები“) დელეგაციას, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში სტუმრად არის საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების მოწვევით.

— მე შევასრულე ჩემი ჯარჯიის შტატის ბავშვთა ორგანიზაციის სასიამოვნო დავალება, — თქვა კ. კუპერმა ჩვენი კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში. ჩემმა თანამემამულემ ლესლი შელტონმა, რომელმაც იმოგზაურა მოსკოვში, ლენინგრადსა და თბილისში, იკისრა პროექტის განხორციელება, რომლის მეოხებით 11-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვები მონაწილეობას მიიღებენ ჩვენს ქვეყნებს შორის გაცვლაში. ვიმედოვნებთ, რომ ოდესმე ეს ბავშვები დაიკავებენ მნიშვნელოვან სახელმწიფო პოსტებს და ხელს შეუწყობენ იმის განმტკიცებას, რასაც მომავალ შეხვედრაზე მიაღწევენ რონალდ რეიგანი და მიხეილ გორბაჩოვი.

ჩვენ დავრეკეთ აქედან ატლანტაში და ვიცით, რა დიდი რეზონანსი ჰქონდა საბჭოთა ლიდერის მიერ ენ-ბი-სი ტელეკომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუს. ბატონმა გორბაჩოვმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თქვენი ქვეყანა ერთგულობს მშვიდობის საქმეს. ამერიკელი ხალხისადმი მისი მიმართვა ახალ მომხრეებს მოუპოვებს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

— „ფრენდშიპ ფორსს“ ურთიერთობა აქვს 53 ქვეყანასთან, — თქვა შემდეგ კ. კუპერმა, რომელიც ამ ორგანიზაციის პრეზიდიუმის წევრი გახლავთ. — იგი შექმნეს ამერიკელებმა იმისათვის, რომ ადამიანთა მჭიდრო მეგობრული ურთიერთობის მეშვეობით განმტკიცდეს მშვიდობა. უნდა ითქვას, რომ თქვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები პირველი საბჭოთა ადამიანები იყვნენ, რომლებთანაც ჩვენმა ორგანიზაციამ მეგობრული გაცვლა დაიწყო.

ამერიკაში დიდ იმედებს ვამყარებთ ოჯახის ერთსულოვნებაზე. თბილისში, მეგობრის ოჯახში, სადაც ხუთი დღე გავატარე, ასეთივე ვითარება დამხვდა. მას, ჩემ სავით, ორი შვილი ჰყავს. ჩვენ ორივენი ვზრუნავთ მათი განათლებისათვის, იმისათვის, რომ აღზარდოთ ისინი ღირსეულ ადამიანებად.

ალბათ, საერთო ენა ადვილად იმიტომაც გამოვნახეთ, რომ ორივენი სამხრეთელები ვართ. ტემპერამენტი, გულისხმიერება, მეგობრებისათვის ზრუნვა, გარშემო მყოფთა სვე-ბედისათვის წუხილი... ჩვენ ერთნაირი ხასიათი გვაქვს. ალბათ, იმთ, ვინც ჩაიფიქრა და განახორციელა თბილისისა და ატლანტის პარტნიორობის ხელშეკრულება, ეს გარემოებაც გაითვალისწინეს.

თქვენთან ჩამოვედი როგორც მეგობარი და მივემგზავრები რწმენით, რომ საქართველოში ბევრი ერთგული მეგობარი შევიძინე.

ᲣᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗᲘ ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑ

ლიანა ისაკაძე.

სიმონ კილაძის ფოტო.

პოლონეთის ქალაქ პრუშკოვიდან ჩვენი რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს სახელზე მოსულ ბარათში გამოთქმული იყო საქართველოს რომელიმე ქალაქთან კულტურული ურთიერთობის დამყარების სურვილი.

ჩვენი კულტურის დღესასწაული

პოლონეთის ამ ქალაქში გახდა ქ. გორის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი გ. მცურავიშვილი, ქორეოგრაფი — ა. ტარიელაშვილი, ლოტბარი — გ. საძაგლიშვილი).

პოლონეთში მოგზაურობა შემოქმედებითად საინტერესო გამოდგა. გორელი მომღერლები და მოცეკვავეები ეწვივნენ არა მარტო პრუშკოვს, არამედ კონცერტები გამართეს სხვა ქალაქებშიც.

აშენდა, დამშენდა ხელვაჩაურის

რაიონის გონიოს საბჭოთა მეურნეობაში ახლახან 54-ბინიანი ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლი წამოიმართა. ეს მეოთხე მაღლივი შენობაა, რომელიც ბოლო 5 წელიწადში გადაეცა საექსპლოატაციოდ.

საცხოვრებელი სახლის პარალელურად შენდებოდა მრავალსართულიანი ადმინისტრაციული შენობა, რომელიც ამ დღეებში გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

* * *

საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო (საამართველოს კოლექტივმა ბორჯომის რაიონში წლეულსაც ჩვეული გულმოდგინებით იღვაწა, შეაკეთა და აღადგინა წარსულის ბევრი მნიშვნელოვანი ძეგლი. უკვე

გუშინ. დღეს. ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

რესტავრირებულ ძეგლებს შეემატა

ცნობილი „მწვანე მონასტერი“, რომელიც ბორჯომ-ახალციხის მიმართულებით სოფელ დვირთან (ჩითახევის ღელე), ტყეში მდებარეობს.

ისტორიული წყაროების მიხედვით, „მწვანე მონასტერი“ IX საუკუნეში გრიგოლ ხანძთელს აუგია, XIII საუკუნეში მტრისგან იავარქმნილი მონასტერი ხელახლა აღუდგენიათ. ამჟამად „მწვანე მონასტერს“ ახალი სიცოცხლე დაუბრუნდა.

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტებისა და საძიებო-ბორჯომის მასალები რუბრიკისათვის მოამზადა ც. სიხარულიძემ.

საქართველო საზღვარგარეთ

ალმაფრენა

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მეეკვსე სართულზე, სარეპეტიციო დარბაზში საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი მეცადინეობდა.

ორკესტრი ეს-ეს არის დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან და, ცხადია, ისევ შეუდგა რეპეტიციას, რეპერტუარის დახვწას.

ერთიანად, თავდავიწყებით ჩართულიყო რეპეტიციაში ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, ჩვენი სახელგანოქმული მევიოლინე ლიანა ისაკაძე. რახან შეხვედრა დათქმული ჰქონდა, რეპეტიცია მცირე ხნით გადადო და „კომუნისტის“ კორესპონდენტს მოკლედ უამბო ამერიკის შეერთებულ შტატებში ანსამბლის ერთთვიანი გასტროლების შესახებ.

— ორკესტრი შტატებში პირველად იყო, მოვიარეთ ტეხასი, კენტუკი, კოლორადო, კალიფორნია, არიზონა... სულ თერთმეტი შტატი. ძირითადად უნივერსიტეტების დარბაზებში გამოვდიოდით, შეიძლება ბევრმა არც იცის, რომ იქ უნივერსიტეტებთან არსებობს კონსერვატორიებიც, დიდი ჩინებული დარბაზებით, რომლებიც ერთიანად გაჭედილი იყო ხოლმე.

ძალზე გულთბილად გვხვდებოდნენ ყველგან, იგრძნობოდა, თუ როგორ სურს ამერიკელ ხალხს საბჭოთა ხალხებთან სიახლოვე და კონტაქტი.

ჩვენი წარმატების დასტური, ალბათ, ის არის, რომ 1989 წლის შემოდგომაზე კვლავ მიგვიწვიეს.

აი, კიდევ აუარება პრესა ჩვენს შესახებ. ზოგიერთი რამ შეიძლება გამოიყენონ...

მაშ, ვნახოთ, თუ როგორ აფასებენ ამერიკელი რეცენზენტები საქართველოს კამერულ ორკესტრს და მის დირიჟორს ლიანა ისაკაძეს.

„გრინ ბეი პრეს-გაზეტი“ წერს: „...საკვიოლინო ვირტუოზობა დიდი მასშტაბით იყო წარმოდგენილი კვირას საღამოს უეს ჰალ სქულის აუდიტორიაში. აქ მუსიკოსთა ასოციაციამ გამართა თავისი სეზონის პირველი კონცერტები.

ამ შთამბეჭდავი სიურპრიზ-კონცერტის სულისჩამდგმელები იყვნენ საქართველოს კამერული ორკესტრის წევრები, მათი დირიჟორი და სოლისტი ლიანა ისაკაძე..

...უკანასკნელ ორ ნომერში დირიჟორი ლ. ისაკაძე მევიოლინე სოლისტად მოგვევლინა და მოხიბლა დამსწრენი თავისი უდიდესი ნიჭით — შეეთანხმებინა მოძრაობა და ბგერა, რაც უკვე ცხადყო კიდეც დირიჟორობისას.

...სოლისტი არაჩვეულებრივი შინაგანი ეხერგიით გამუდმებით გვაგრძნობინებდა მშვენიერ წმინდა ინტონაციებს... და რა გასაკვირია, რომ აღტაცებული საზოგადოება ფეხზე ამდგარი ოვაციას უწყობდა მას და მის ანსამბლს...“

„ლოს-ანჯელეს ტაიმსი“ აღნიშნავს:

„...მევიოლინემ გამოავლინა უზადო ოსტატობა, ზუსტი ინტონაცია. და ბრწყინვალე ტექნიკა, მისი ბგერა ლამაზი და ძლიერია, ხან ვნებიანი და მგზნებარე, ხან ფაქიზი და მგრძნობიარე...“

„ეკსპრეს-ნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება:

„...ეს იყო ერთ-ერთი ისეთი კონცერტი, როცა მსმენელის ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა დაემორჩილოს სცენის მაგნიტურ გავლენას.

პროგრამით, რომელშიც შედიოდა როსინის 3 სონატა, შენბერგის „ნათელი დამე“ და ვივალდის „წელიწადის დრონი“, ისაკაძემ „დაიმონა“ აუდიტორია და არ გაუშვა, სანამ არ დამთავრდა „ზამთარი“. მისი ლიდერობა იყო მბრძანებლური, ფაროოიკესტებიანი და გაბედული“.

გაზეთ „სვეტ სან-ანტონიოს“ რეცენზენტი ასე უზიარებს თავის შთაბეჭდილებას მკითხველს:

„არ მახსოვს, ოდესმე ასეთი წმინდა თრთოლვა მოეგვაროს შესრულებას. დ. აი, ეს მოხდა კვირას, როცა საქართველოს კამერულმა ორკესტრმა დაუკრა გულჩამწყვდომი „ზამთარი“ ვივალდის „წელიწადის დრონდან“.

ეს იყო ამაღელვებელი წუთები სიეოცხლის დამამკვიდრებელ, ღრმა, ჭეშმარიტად შესანიშნავ კონცერტში, რომლითაც გაიხსნა სან-ანტონიოს კამერული საზოგადოების 45-ე სეზონი კოლეჯის საკონცერტო დარბაზში.

ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსის ლაურეატის, ცნობილი მევიოლინის დავით ოისტრახის მოწოფის ლიანა ისაკაძის ბრწყინვალე დირიჟორობით საბჭოთა ორკესტრმა, რომელშიც 20 მუსიკოსია, სამართლიანად დაიმსახურა უდიდესი ქება“.

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

მწვავე თამაშის შემდეგ

უკანასკნელ შეხვედრებში მეტოქეები თეთრებითაც და შავებითაც მხოლოდ ლაზიერის გამბიტს მიმართავენ. ცნობილია ორივე დიდოსტატის სიყვარული ტარტაკოვერ-ბონდარევსკი-მაკოგონოვის ვარიანტისადმი. ეტყობა, კასპაროვი ელოდა, რომ შავები სწორედ ამ ვარიანტის არჩევას აპირებდნენ და საგანგებოდ მოემზადა — არ დაეშვა მისი გამოყენება. უკვე მეხუთე სვლაზე კასპაროვმა მეტად იშვიათ გაგრძელებას მიმართა, დროებით მხედარიც შესწირა, შემდეგ უკანვე დაიბრუნა და რამდენადმე უკეთესი პოზიცია მიიღო. იგი ეტლებით ცენტრალური ვერტიკალის დაკავებას იმუქრებოდა. კარპოვი, მოულოდნელობას რომ წაეწყოდა, მეტოქეზე მეტს ფიქრობდა. მან პირველ 13 სვლაზე ერთი საათი დახარჯა, კასპაროვმა კი ორჯერ ნაკლები.

კარგი დაცვითი მანევრებით კარპოვმა შეძლო მდგომარეობის გათანაბრება. შესაძლოა, იგი შემდეგ ერთ მომენტში შეფერხდა რადგან კასპაროვი ისევ დაეუფლა ინიციატივას. რამდენიმე სვლის შემდეგ კასპაროვიც შეფერხდა. კარპოვმა შეძლო უშუალო მუქარის მოგერიება. თამაში ალბიერების ენდშპილში გადავიდა. ექსჩემპიონი ლაზიერით შეიჭრა მეტოქის განლაგებაში და მუდმივი ქიშით დაემუქრა მეტოქეს. პოზიცია სრულიად თანაბარი იყო და კასპაროვიც დათანხმდა ყაიმს. მით უმეტეს, რომ მას ასეთი შედეგი კარპოვზე უფრო აძლევს ხელს.

მეოცე პარტია

კასპაროვი — კარპოვი

ლაზიერის გამბიტი

1. c4 e6 2. ∅c3 d5 3. d4 ♆e7 4. ♗f3 ♗f6 5. ♗c2 0-0 6. ♆g5 c5 7. dc dc 8. e4 ♕a5 9. e5 ∅d5 10. ♆:c4 ∅:c3 11. 0-0 ♗:c5 12. ♗:c8 ∅c6 13. ♆:e7 ♗:e7 14. a3 ♆d7 15. ∅ac1 ♗fd8 16. b4 a6 17. ♗e3 ♆e8 18. ♆d3 ∅a7 19. ♆b1 ♆c6 20. ♗g5 h6 21. ∅e4 ∅b5 22. ∅c4 ♆:e4 23. ♆:e4 ∅ac8 24. ∅:c8 ∅:c8 25. ∅c1 ∅:c1+ 26. ♗:c1 ♗d7 27. g3 b6 28. ♔g2 ♗d8 29. h4 a5 30. ba ba 31. ♗c5 ∅d4 32. h5 ♆f5 33. ♆b7 ♔g7 34. ♔g3 ♗b8 35. ♗:d4 ♗:b7 36. g4 ♗f8 37. ♗d7+ ♔g8 ყაიმი.

ამრიგად, ანგარიში გახდა 10:10. მორიგი, ოცდამეერთე პარტია, რომელშიც თეთრებით კარპოვი ითამაშებს, ხვალისათვის არის დანიშნული.

მოკლედ

კალათბურთი. ტალინში, კაუნასსა და დონეცკში განახლდა ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მატჩები. გთავაზობთ პირველი დღის შეხვედრათა (ფაქტობრივად მერვე ტურის მატჩების შედეგებს: **ტალინი.** ლენინგრადის „სპარტაკი“-ტალინის „ყალევი“— 64:73, (36:30), კიევის „სტროტელი“-კიევის ასკ — 89:84 (40:52); **კაუნასი.** ვილნიუსის „სტატიბა“-კაუნასის „ჟალგირისი“ — 83:90 (47:49); **დონეცკი.** ცსკა-მოსკოვის „დინამო“ — 93:91 (54:44), თბილისის „დინამო“-დონეცკის „შახტიორი“ — 73:89 (37:38), მინსკის რტი — რიგის ვეფრ — 75:65 (42:31).

სპორტი

ვინ არის მართალი?!

კასპაროვ-კარპოვის მეოთხე მატჩი იწურება, პარტია პარტიას მიჰყვება, ყველა ძირითადი საკითხი კი კვლავინდებურად გადაუწყვეტი რჩება.

დიდი ყურადღება მიიპყრო ბრიტანეთის კოლუმბიის (კანადა) უნივერსიტეტის მათემატიკის პროფესორის (და, თუ გნებავთ, შეთავსებით ჭადრაკის ისტორიკოსის) დივინსკის საინტერესო „რანგ-ლისტმა“. მან შეადგინა უკანასკნელი 100 წლის უძლიერესი მოჭადრაკეების სია და ამისათვის დაეყრდნო 10 ათასზე მეტი პარტიის კომპიუტერულ ანალიზს. ასეთი სიები სხვა დროსაც ბევრი გამოქვეყნებულა, სხვათა შორის, ცნობილია მსოფლიო ექსჩემპიონის რობერტ ფიშერის მიერ შედგენილი ყველა დროის უძლიერეს მოჭადრაკეთა ათეულიც. მაინც, რა დასკვნამდე მივიდნენ პროფესორ დივინსკის გამოთვლილი მანქანები? 100 წლის № 1 მოჭადრაკედ აღიარეს მსოფლიო ჩემპიონი კასპაროვი, მეორეა კარპოვი, III-VI ადგილები კი გაიყვეს ლასკერმა, კაპაბლანკამ, ბოტვინიკმა და ფიშერმა.

ახლა მმომხილველებს მოჰყავთ კასპაროვის აზრი კარპოვის შესახებ და ის დახასიათებაც, რომელიც კარპოვმა „შეუდგინა“ მეტოქეს.

კასპაროვის აზრით, კარპოვის, ისევე როგორც ყველა სხვა დიდი მოჭადრაკის, დახასიათება და შეფასება ძნელია. კარპოვი, უპირველეს ყოვლისა, ჭადრაკს სპორტად მიიჩნევს (მსოფლიო ჩემპიონი პრეტენდენტს ამაში სავსებით ეთანხმება). ამავე დროს კასპაროვი თავის ახლახან გამოცემულ ავტობიოგრაფიაში წერს, რომ სპორტი საერთოდ არ არსებობს მუდმივი შემოქმედებითი ძიების, თუ გნებავთ, მეტ-ნაკლები რისკის გარეშე. ასეთი რისკი, როგორც ყველამ იცის, კასპაროვის პარტიებში ბევრია. მატჩის მეთექვსმეტე პარტია მან სწორედ იმიტომ წააგო, რომ მწვავე, მაგრამ ობიექტურად თანაბარ პოზიციაში ზომაზე მეტ რისკზე, თუ გნებავთ, ავანტიურულ ვარიანტზე წავიდა. რაც შეეხება კარპოვს, ჩემპიონის აზრით, მას რისკი საერთოდ არ ახასიათებს და პარტიის ბედის გადაწყვეტას მხოლოდ ტექნიკური სპეციალებით ცდილობს. შეწირვების რიცხვი კარპოვის პარტიებში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე კასპაროვთან. კასპაროვი თავის თავს „მკვლევარს“ უწოდებს, კარპოვს კი — „პრაქტიკოსს“.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით, მიმომხილველებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა კარპოვის „ავტოპორტრეტი“ რამდენიმე უახლოეს ინტერვიუში და მის მიერ მეტოქის „სილუეტის“ დახატვის ცდა. კარპოვის აზრით იგი წმინდა წყლის იმპროვიზატორია, ყველა მნიშვნელოვან საკითხს დაფასთან წყვეტს, მაშინ როდესაც კასპაროვის ძირითადი იმედი საგულდაგულო საშინაო მომზადებაა. ასეთი შეფასება მიმომხილველთა უდიდესმა უმრავლესობამ არ გაიზიარა. ცნობილი უნგრელი დიდოსტატი ანდრაშ ადორიანი (იგი ადრე კასპაროვს ეხმარებოდა) დანიის გაზეთ „ინფორმაციონში“ წერს: „ასეთი შეფასება მეტად პარადოქსულია, თუ გავითვალისწინებთ, რომ კასპაროვი ყველა თანამედროვე დიდოსტატზე მეტად აოცებს ხოლმე მაყურებლებსა და გულშემატკივრებს ურთულეს პოზიციებში თავის მოულოდნელი გადაწყვეტილებებით და რთული კომბინაციებით.

როგორ აფასებენ მიმომხილველები მეტოქეთა ახლანდელ თამაშს? როგორც ჰამბურგის რადიოს მიმომხილველი, დიდოსტატი ჰელმუტ პფლეგერი წერს, კასპაროვის თამაში ამჟამად ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობებს იწვევს. „ზოგჯერ ეს არის მოჭადრაკე, რომელიც უკვე ორჯერ დამარცხა კარპოვი, ბრძენი, გამობრძმედილი დიდოსტატი, ზოგჯერ კი იმ იმპულსურ, არაპრაქტიკულ ჭაბუკს ჰგავს, 1984 წელს მსოფლიო ჩემპიონთან სათამაშოდ რომ მიუჯდა დაფას, როცა მსოფლიო ჩემპიონს უმწვავეს ცაატნოტში საათის გადართვა ავიწყდება, დამეთანხმებით მისი სამატჩო მომზადება, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, უნაკლო არ უნდა იყოს“.

ლონდონის ყოველკვირეულ „ნიუ სტეტსმენის“ საქმაოკო მიმომხილველი, საერთაშორისო ოსტატი ჯორჯ ბოტერილი ძალიან აქებს კარპოვს: „მსოფლიო ექსჩემპიონები მახეალ ბოტვინიკი და ბორის სპასკი აღიარებენ, რომ კარპოვი სწორია, როცა მიიჩნევს: კასპაროვმა ვერ მიაღწია იმ კლასს, რომელიც კარპოვს ჰქონდა თავის საუკეთესო წლებში“. ასეთად ბოტვინიკს მიაჩნია 1974 წლის დასასრული — 1975 წლის დასაწყისი, თვით კარპოვს კი — უფრო მომდევნო ხანა — 1981 წლის მატჩის პირველი ნახევარი კასპაროვთან, როცა იგი წინ იყო ანგარიშით 5:0.

მიმომხილველები წერენ იმასაც, რომ კასპაროვს გადაწყვეტილი აქვს გადაჯარბოს ფიშერის რეიტინგს (2820.) ამჟამად კასპაროვის რეიტინგია 2740 და იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუმჯობესდება, თუკი მსოფლიო ჩემპიონი ახლანდელ (და მომდევნო მატჩებშიც), დამაჯერებლად სძლევს კარპოვს (რეიტინგი 2700).

ბოლოს და ბოლოს, ვინ არის მართალი? ამას ჩვენ მალე შეიტყობთ.

ბ. გამრეკელი.

წარდგენილია „ხუთწლედის მატიანის“ პრემიაზე

სამშობლოს ხატი

... **საქართველოს** სახალხო მხატვარი — რამდენს ავალებს ეს წოდება ხელოვანს! დინარა ნოდია ამართლებს ამ სახელს არა მარტო თავისი შემოქმედებით, არამედ მოქალაქეობრიობითაც. იგი მარტოოდენ საკუთარ სახელოსნოში ჩაკეტილი მხატვარი როდია. აი უკვე ოცი წელია მომავალი თაობის აღზრდის საქმეს ემსახურება მშობლიურ აკადემიაში, დაზგური გრაფიკის სახელოსნოს ხელმძღვანელია და, სხვათა შორის, პირველი მხატვარი ქალი — პროფესორი. მისი აღზრდილნი დღეს უკვე თვალსაჩინო როლს ასრულებენ ქართულ სახვით ხელოვნებაში, კერძოდ გრაფიკის დარგში, ეს ყველაფერი მისთვის და მის გარშემო მყოფთათვის უკვე ჩვეულებრივი ამბავია.

რა სიახლეა მხატვრის ცხოვრებაში?

სრულიად კანონზომიერია, რომ ახლახანს, საქართველოს მხატვართა XI ყრილობაზე დინარა ნოდია მხატვართა კავშირის გამგეობის მდივნად აირჩიეს — ჩვიდმეტ კაცში ერთი ქალიც ხომ უნდა ყოფილიყო! და არა მარტო ამიტომ: დინარა ნოდია ძალზე აქტიური ხელოვანია, იგი მხატვართა კავშირის პროპაგანდის კომისიას თავმჯდომარეობს, მისივე დამსახურებაა ყოველ ახალ მოვლენასთან დაკავშირებით პრესკონფერენციების გამართვა, რაც ხელს უწყობს მომავალი გამოფენების არსში უკეთ წვდომას, პრესისა და ხელოვნების მუშაკებს შორის საერთო ენის გამოძებნას, კეთილგანწყობასა და ურთიერთგაგებას.

როცა დინარა ნოდიას ესაუბრებით გრძნობთ მასში თანამოაზრესა და, ასე განსაჯეთ, თანამოკალმესაც. შეიძლება გაიკვირვოთ ეს ნათქვამი, მაგრამ ამაში არაფერია უცხო ან პარადოქსული — უბრალოდ, გრაფიკოსის პროფესია ძალზე ენათესავება პროფეციისტიკას. თანამედროვეობის მაჯისცემასაც გრაფიკოსი მხატვარი პუბლიცისტური თვალით უყურებს, მის მზიან-ჩრდილიან მხარეებს პუბლიცისტს ალღოთი გრძნობს.

ამიტომ არის მისი გრაფიკული ფურცლები ძალზე თანამედროვე, მართალი და დინამიკური.

ამჯერად ჩვენი განხილვის საგანი ის ბოლო ორი ციკლია, რომლებისთვისაც დინარა ნოდია „ხუთწლედის მატიანის“ პრემიაზე წარადგინეს, ეს გახლავთ „ჩემი საქართველო“ და „პლანეტის ექო“.

სითამამე, გამომგონებლობა, კომბინირებული ხერხების ორიგინალურობა (ნახატისა და ფოტომასალის შერწყმა), მრავალფეროვნება იქცევს ყურადღებას ამ ნამუშევრებში. აქ არის ქართულ ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალაზე შექმნილი კომპოზიციებიც, ძველი და ახალი თბილისის სურათებიც, სამამულო ომის დროინდელი ეპიზოდებიც, რომლებშიც დრამატიზმიც იგრძნობა და მაჟორულობაც („გამარჯვების ალამი რაიხსტაგზე“, „ჯარისკაცის დაბრუნება“, „დამშვიდობება“); აქვეა ფურცლები: „რუსი პოეტები და საქართველო“ — შექმნილი პასტერნაკის, ანა ახმატოვას, ბელა ახმადულინას პოეზიის შთაგონებით.

ხომ არ შეიძლებოდა მხატვარს გვერდი აევლო ილია ჭავჭავაძისათვის, მით უმეტეს მის საუკუნეხანგრის იუბილის ჯერებში. თვალის ერთი გადავლებითაც იგრძნობთ, როგორ ამოუკითხავს მას „კაცია-ადამიანი?!“ როგორ საინტერესოდ გადმოუცია ლუარსაბისა და დარეჯანის პორტრეტები — მათ გარეგნობაში იხატება მათი სულიერი სამყარო, მათ გარშემო კი დახვავებულია ყველაფერი ის, რაზეც საუბრობენ და კამათობენ, რაზეც ოცნებობენ ამ უკვდავი მოთხრობის გმირები.

რაც შეეხება „პლანეტის ექოს“ მასში ფანტასტიკა ჭარბობს, თუკი კოსმოსის საუკუნეში მას კიდევ შეიძლება ფანტასტიკა ვუწოდოთ — „სიჩუმე“, „იდუმალი ხმები“, „დიალოგი კოსმოსთან“.

— ოფორტი მეტი გაჭანების საშუალებას იძლევა, აქ ტექნიკური დამუშავების შედეგად ხდება ხოლმე ისეთი ცვალებადობა, რომელიც თავისთავად უფრო ეფექტურია და ზოგჯერ მოულოდნელიცაა თვით ხელოვნისათვის.

დიდ ყურადღებას უთმობს მხატვარი თემას — „ადამიანი და გარემო“. ამ მხრივ მისი გრაფიკული ფურცლები ფრიად აქტუალურია. მოქალაქეობრივი მღელვარებით გამსჭვალული ეს ოფორტები ლირიზმით, მეოცნებეობით, მშვიდობისკენ სწრაფვით გამოირჩევა. იგი ხომ ორი ვაჟკაცის დედა.

— მაშ ამჯერად თქვენ ოფორტისტი გეთქვით, ეს ხელობა (ამ სიტყვის კარგი გაგებით) ძველიცაა და ახალიც, იგი არ „ცვდება“.

— დიახ, ასეა. ოფორტმა გამიტაცა და ამიტომ სწორედ ლითონშივე განვახორციელებ ჩემს ახალ ჩანაფიქრს — თანამედროვეთა პორტრეტებს, — ამბობს დინარა ნოდია.

ეს მართლაც საინტერესოა. ყოველი მხატვარი თავისებურად აღიქვამს, ხედავს (... ვფიქრობ, ეს მეხმარება, რომ დავშორდე კონკრეტულობას). ყოველი ხელოვანი თავის სამყაროს ქმნის (... უფრო განვაზოგადებ ამ მასალაში ჩემს ჩანაფიქრს) და მასთან თავის გმირებს.

ასე ჩნდება ყოველ ხელოვანში სამშობლოს ხატიც!

ნანა ღვინეფაძე.

სურათებზე: „მონადირის სიზმარი“ და „კაცია-ადამიანის?!“ ილუსტრაცია.

◆ **ევროპის** მოედნებზე არ ცხრება უხე შობა. ერთ-ერთ მატჩში მიუნხენის „ბავარიასა“ და მადრიდის „რეალს“ შორის ესპანელმა თავდამსხმელმა ხუანტომ გაარტყა ძირს დაცემულ მატეუსს, რასაც დაუყოვნებლივ მსაჯის რეაქცია და წითელი ბარათი მოჰყვა.

◆ **როდესაც** იტალიის ჩემპიონატების ისტორიაში „ნაპოლიმ“ პირველად მოიპოვა ჩემპიონის ტიტული ნეაპოლელების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. შენობათა ფასადებსა და მოედნებზე გამოკიდეს მარადონას უამრავი პორტრეტი, რითაც ხაზი გაუსვეს არგენტინელი ფუტბალისტის ღვაწლს მიღწეულ წარმატებაში.

განცხადების ვაცი

ავტობუსი ისე იყო ხალხით გაჭედილი, აშკარად გესმოდა მისი კედლების ჭრიალი. ჩემს წინ მდგომი კაცის ხშირი თმა სახეზე მედებოდა. შიშველი ფეხები კარგა ხანია ჰაერში მქონდა აშვერილი, — ფეხსაცმელი სალონში შესვლისთანავე გამხადეს.

წინა კარიდან ცივი და ძლიერი ქარი უბერავდა. ვიღაცამ დაახვეა და ბრაზიანად წამოიძახა:

— გამჭოლი ქარია, კარი დახურეთ!

ეს სიტყვები მთელმა ვაგონმა აიტაცა. შეწუხებული მგზავრები თვალს არ აშორებდნენ იმ კაცს, რომელიც კართან ისე იდგა განძრევაც არ შეეძლო. მას ჰქონდა ღია ცისფერი, თვინიერი თვალები, ნაცრისფერი შლაპა ეხურა. დამნაშავესავით იღიმებოდა.

— რა თავხედობაა! მიხურეთ კარი!

— ეტყობა, ტვინი აქვს გაყინული!

ცისფერთვალება კაცი ისევ თავაზიანად იღიმებოდა. ეს უკვე მეტისმეტი იყო.

— გადაადგეთ ვაგონიდან!

— ჭირსაც წაუღია!

— მაგნაირ პირუტყვს კაცმა კისერი უნდა მოუგრიხოს!

— ერთი თავში წამოარტყით, ეგებ ამუშავდეს!

ლანძღვის ესოდენ შეუკავებელი ნიაღვარი თითქოს სულაც არ აღწევდა ცისფერთვალებიანამდე. იგი უწინდებურად მოთმინებითა და გულღიად იღიმებოდა.

ჩემს გაჩერებასთან დიდი ჯაფის შემდეგ ძლივძლივობით გავძვერი გასასვლელისაკენ. ნაცრისფერშლაპიანი კაციც ჩამოვიდა.

— უკაცრავად, — გამოველაპარაკე და თან გაღფლილი კისერი საიდანღაც ჩემს ჯიბეში მოხვედრილი სხვისი ცხვირსახოცით მოვიწმინდე. — უკაცრავად, როგორ შესძელით მშვიდად აგეტანათ ასეთი ლანძღვა? ნევროპათოლოგი თუ ბრძანდებით ან იქნებ საბინაო განყოფილებაში მუშაობთ?

მან თავი გაიქნია.

— არა, — მომიგო ღიმილით,— ფეხბურთის მსაჯი ვარ.

მანფრედ მაგნუსი (გერ)

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი

ცისფერ ეკრანზე

მოსკოვი

6 დეკემბერი

პირველი პროგრამა: 8.00 — „90 წუთი“. 9.30 — რიტმული ტანვარჯიში. 10.15 — სპორტლოტო“. 10.30 — მაღვიძარა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — „დილის ფოსტა“. 12.30 — კინოაფიშა. 13.15 — პოეზიის წუთები. 13.20 — მუსიკალური კიოსკი. 14.00 — სოფლის საათი. 15.00 — ჯანმრთელობა. 15.45 — „ცისარტყელა“ (ფინეთი). 16.20 — ტელეხიდი მოსკოვი — ჰელსინკი. 17.50 — ახალი ამბები. 17.55 — მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. 18.15— „წლები, თაობები, სიმღერები“. მუსიკალური პროგრამა. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — მხატვრული ფილმი „ლურჯი ფრინველი“. 21.25 — კონცერტი „ვალსი“. 22.00 — „ვრემია“ 22.40 — გარდაქმნის პროგერტორი. 22.50 — „ეს ხანგრძლივი ცხოვრება“. ვერიკო ანჯაფარიძე. 24.00 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა: 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — რუსული მეტყველება. 9.50 — მულტფილმი. 10.00 — სახალინის ტელესტუდიის პროგრამა. 11.00 — მსოფლიო მუსიკალური კულტურის საგანძურიდან. ტ. ხრენიკოვი. 12.00 — დოკუმენტური ფილმი. 12.30 — მღერის მ. პახომენკო. 13.00 — აშკარა — დაუჯერებელი. 14.00 — „ცისარტყელა“ (ფინეთი). 14.20 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ტელეფილმი „რვა სარკე“. 15.00 — ბურთიანი ჰოკეი. მოსკოვის „დინამო“ — „ვოლგა“. მე-2 ტაიმი. 15.45 — „თუ გინდა იყო ჯანმრთელი“. 16.00 — წყალბურთი. ფინალური ტურნირი. 16.30 — თქვენი აზრი. 17.35 — მხატვრული ტელეფილმი „უოჯახოდ“. II სერია. 18.50 — კონცერტი. 19.50 — კალათბურთი. გაეცენ. ცსკა — თბილისის „დინამო“. მე-2 ტაიმი. 20.30 — მეცნიერება და ტექნიკა. კინოჟურნალი. 20.40 — კრივი. საერთაშორისო ტურნირი. ფინალი. შესვენებისას (21.20) — ძილი ნებისა პატარებო! 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროგერტორი. 22.50 — მხატვრული ფილმი. 0.20 — ახალი ამბები.

თბილისი

6 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“ (მ.). 9.40 — დღეს. თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 10.10 — „დილა მშვიდობისას!“ საკვირაო მუსიკალურ-გასართობი პროგრამა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“. 11.30 — კინოაფიშა. 12.00 — საკვირაო გამოფენა. ო. ქანდარია. 12.05 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 12.35 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.05 — ახალგაზრდობისათვის. „ტელეჟურნალისტის კამერით იტალიაში“. (მესამე გადაცემა). 13.55 — ხალხური შემოქმედება. „მარად საჭირო ხელოვნება“. 14.15 — „მხიარული ეკრანი“. 14.55 — საკვირაო გამოფენა. ო. ქანდარია. 15.00 — ვესტნიკი. 15.30 — „შესვენდრები თეთრი ლამეების ქვეყანაში“. 16.15 — საკვირაო გამოფენა. ო. ქანდარია. 16.20 — ტელეხიდი. „მოსკოვი — ჰელსინკი“ (მ.). 17.50 — „თბილისი და თბილისელები“. სატელევიზიო ჟურნალი. 18.25 — საესტრადო კონცერტი. „უკრავს ბ. ქიტიაშვილი“. 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ.). 19.50 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: ცსკა — თბილისის „დინამო“, მე-2 ტაიმი. გადაცემა დონეცკიდან (მ.). 20.30 — ზღაპრის გუდა. 20.45 — მოამბე. 21.20 — ჭაბუკები კალათბურთის ქვეყნიდან. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროგერტორი“ (მ.). 22.50 — „ეს ხანგრძლივი ცხოვრება“ — ვერიკო ანჯაფარიძე (მ.).

თეატრი

6 დეკემბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მერი პოპინსი (დღისით), ღია შუშაბანდი (საღამოს); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ისევ ვოდევილები; (დღისით), ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში (საღამოს); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის (პროფკავშირების სასახლის შენობაში) — კახპირის ხმალი (დღისით), მეკვიოლინე სახურავზე (საღამოს); ახმეტელის სახელობის სახელმწიფო დრამატული — ბაზალეთისა ტბის ძირას (დღისით), აჩრდილები (მე-6 აბონ. მე-5 წარმოდგენა, მე-17 აბონ. მე-6 წარმოდგენა); მინიატიურების სახელმწიფო — ნაკრები; მეტეხის — უფიქრელი სამღერი; მოზარდ მაყურებელთა ქართული — ჩვეულებრივი სახნავი (აბონ. № 53, 12 ს.) რლვევა (აბონ. № 83, 7 ს.).

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07265 საქართველოს კპ ცკ-ის გაზეთის ზრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 9.